აჭარა

გამოცემის 105-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკევობით

№17 (25.195) 9 მაისი, 2025 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და მთიან რაიონებში - 15-20, მაღალ მთაში - 18-23 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 15 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 765 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს ამინდი შენარჩუნდება.

სახალხო დღესასწაული „მარეთობა“ – შუახევში

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე სულხან თამაზაშვილი შუახევში გამართულ ტრადიციულ სახალხო დღესასწაულ „მარეთობას“ დაესწრო.

მან ადგილობრივ მოსახლეობას სიტყვით მიმართა და დღესასწაული მიულოცა. ინფორმაციას აჭარის მთავრობის პრესსამსახური ავრცელებს.

„მარეთობას“ შუახევის მერი, აჭარის მთავრობის, საქართველოს პარლამენტისა და აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრები ესწრებოდნენ.

ღონისძიების ფარგლებში, „საპატიო მარეთელების“ დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. საპატიო ჯილდოები წარმატებულ პედაგოგებს, წარჩინებულ ახალგაზრდებსა და სხვადასხვა სფეროში გამორჩეულ ადგილობრივ მოსახლეობას გადაეცა.

ღონისძიებაზე სხვადასხვა კულტურული და სპორტული აქტივობა გაიმართა, მათ შორის, მოეწყო მარეთის ხეობის ტრადიციების ამსახველი ფოტოგამოფენა.

მთავრობის თავმჯდომარემ, ასევე, შუახევში მდებარე, საქართველოს ერთიანობისათვის დაღუპულ გმირთა მემორიალი ყვავილებით შეამკო.

შემდეგ ნომერში ამ სახალხო დღესასწაულის შესახებ უფრო ფართოდ ვისაუბრებთ.

დასახელდნენ ისინი, ვინც ბათუმის კეთილდღეობისთვის სიყვარულით იღვწიან

„ბათუმობის“ დღესასწაულის ერთ-ერთი გამორჩეული ღონისძიება საპატიო ბათუმელთა და ბათუმის საპატიო მოქალაქეების დაჯილდოებაა, რომელზეც სხვადასხვა სფეროში მოღვაწე იმ ადამიანებს ასახელებენ, რომელთაც ქალაქის და ქალაქელების კეთილდღეობაში საკუთარი მოკრძალებული წვლილი შეაქვთ. აქ თანამდებობასა და სფეროს არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭება

ბათუმის ზღვისპირა პარკის კოლონადებთან შეკრებილებს „ბათუმობა 2025“ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა მიულოცეს. წელს 16 საპატიო ბათუმელი და ბათუმის ორი საპატიო მოქალაქე დასახელდა.

სხვადასხვა სფეროში ხანგრძლივი და წარმატებული საქმიანობისთვის „საპატიო ბათუმელის“ წოდება მიენიჭათ: რემზი კეჭახმაძეს (შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ მძღოლი), თენგიზ ტუღუშს („გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახურის“ მუშა-სპეციალისტი), როსტომ ბერიძეს („ბათუმის წყლის“ ექსპლუატაციის განყოფილების უფროსი), ზარუი აკოპიანს („სანდასუფთავების“ მეეზოვე), გიორგი კუპრეიშვილს (ინჟინერ-მექანიკოსი, გენერალ-მაიორი), ანზორ გოგიტიძეს (ეკონომისტი, პოლიტიკოსი), ჯამბულ გაბაიძეს (ჩოხოსანი), ქეთევან დოლიძეს (ბსუ-ის პროფესორი), თეიმურაზ ჭანტურიშვილს (პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი), ილია ესიტაშვილს (ბათუმის კულტურის ცენტრის „ჯაზ-ბიგ-ბენდის“ ხელმძღვანელი), იაშა თანდილავას (პოეტი, მკვლევარი, საზოგადო მოღვაწე), ჩიტო ომერაძეს (ბათუმის მუსიკალური ცენტრის ოფისმენეჯერი, ღირსების ორდენის კავალერი), ელენე ქილიფთარს (დვაწლმოსილი პედაგოგი, პუბლიცისტი, მკვლევარი), ვალერიან შანიძეს (სპორტის დამსახურებული მოღვაწე, „დინამო ბათუმის“ ვეტერანი ფეხბურთელი), ზაზა ჯიბლაძეს (სპორტის ოსტატი, ოლიმპიური კატეგორიის არბიტრი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი). „ბათუმის საპატიო მოქალაქეებად“ წელს დასახელდნენ: სოლომონ პავლიაშვილი (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი), გიორგი კიკვაძე (მოქანდაკე, ბრწყინვალების ორდენის კავალერი).

დაჯილდოებულებს ეს წარმატება ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა და აჭარის მთავრობის თავმჯდომარე სულხან თამაზაშვილმა მიულოცეს.

არჩილ ჩიქოვანი:

- მნიშვნელოვანია, რომ ქალაქი წლების განმავლობაში ვითარდებოდა. ბოლო პერიოდში ეს განვითარება, მიღწეული წარმატებები უფრო ნათელი გახდა თითოეული ჩვენგანისთვის. ბუნებრივია, ამ ისტორიას ჰყავს ძალიან ბევრი ავტორი, ყოველდღიურად ვხვდებით ადამიანებს, ვინც ჩვენი ქალაქის საკეთილდღეოდ, სამომავლო ხედვის ჩამოყალიბებისათვის ბევრს შრომობენ სხვადასხვა მიმართულებით. დღევანდელი ღონისძიება ამ ადამიანების, ჩვენი რჩეული, ბათუმზე შეყვარებული თანაქალაქელების იმ მსახურების პატივისცემას ემსახურება, რასაც ისინი ათეული წლების განმავლობაში აკეთებდნენ და გვჯერა, სამომავლოდაც გააგრძელებენ.

სულხან თამაზაშვილი:

- 137 წელი გავიდა, რაც ბათუმს თვითმმართველი ქალაქის წოდება მიენიჭა, ეს ძალიან სასიხარულო ფაქტი მინდა მივულოცო თითოეულ ბათუმელს. ქალაქი ძალიან სწრაფად და სწორად ვითარდება. ამ პროცესში ბევრი ადამიანია ჩართული, ეს როგორც კულტურული, ისე ტურისტული თვალსაზრისით, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ის ბათუმური სული და ურთიერთობებია, რასაც თქვენ ქმნით და ამისთვის ძალიან დიდ მადლობას გიხდით. ბათუმში ძალიან ბევრ სტუმარს ველით, მაღალ ეკონომიკურ აქტივობას, გვაქვს უამრავი ახალი პროექტი და მჯერა, თითოეული თქვენგანის ჩართულობით, ერთობლივად შევძლებთ, რომ ჩვენი ქალაქი გავხადოთ კიდევ უფრო წარმატებული. მადლობა ყველას და გილოცავთ.

რამდენიმე საპატიო ბათუმელმა თავისი სიხარული გაგვიზიარა.

თემურ ჭანტურიშვილი:

- ძალიან დიდი პატივია ეს წოდება, მაგრამ ვთვლი, რომ ის ჩემს უფროს თაობას - ჩემს მშობლებს ეკუთვნის, რომლებიც ძალიან დიდი ბათუმელები იყვნენ. მინდა მივულოცო ყველას, ვინც დღეს ეს წოდება მიიღო და წარმატებები ვუსურვო, ბევრი სიხარული და მშვიდობა.

ილია ესიტაშვილი:

- ამ წოდების მონიჭებით პასუხისმგებლობა მომემატა, შევეცდები, გავხდე კიდევ უფრო უკეთესი ბათუმელი, რომ ეს წოდება გავამართლო.

ჩიტო ომერაძე:

- ბათუმელობა ჩემთვის ძალიან დიდი პატივია. ეს არის ღირსება და ყველაზე მთავარი - შენი გაკეთებული საქმის დანახვა... მთელი ცხოვრება, ყველაფერს მხოლოდ სიყვარულით ვაკეთებ და როცა სიყვარულით აკეთებ, ის აუცილებლად გიფასდება. დიდი მადლობა ყველას, ვინც ეს დაინახა. ღმერთმა შემაძლებინოს მომავალში მეტის გაკეთება.

ვალერიან შანიძე:

- საპატიო ბათუმელობა დიდი პატივისცემა და აღიარებაა. მადლობა ყველას თანადგომისთვის, დაფასებისთვის. შევეცდები, დარჩენილი სიცოცხლე ჩემს ქალაქს და იმ ახალგაზრდებს მოვახმარო, ვისაც ვასწავლი. ბათუმელობა ჩემთვის ახალ სიცოცხლეს ნიშნავს, რადგანაც ეს ხალხის სიყვარულის საჯაროდ გაცხადებაა.

ქეთევან დოლიძე:

- დიდი მადლობა ყველას, ვინც ბევრ ღირსეულ ადამიანთა შორის გამომარჩია და მომანიჭა ეს წოდება. ერთი რამ მინდა ვთქვა: ვიყავი, ვარ და დავრჩები ძირძველ ბათუმელად, ჩემი ქალაქის, ჩემი სამშობლოს, უნივერსიტეტის, რომელსაც წელს ოქტომბერში 90 წელი უსრულდება, მსახურად.

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

„ქართული ოცნების“ არჩევანი და შეუთანხმებლობა ოპოზიციურ სპექტრში

7 მაისს „ქართული ოცნების“ რიგით მეცხრე ყრილობა გაიმართა, სადაც პარტიის თავმჯდომარედ, უკვე მეორედ, ირაკლი კობახიძე აირჩიეს. ის ამ თანამდებობას 2012 წლიდან 2024 წლამდე იკავებდა. „ქართული ოცნების“ პარტიული ყრილობა სასტუმრო „პარაგრაფ თბილისში“ შედგა

ირაკლი კობახიძემ ყრილობაზე ისაუბრა სახელმწიფოებრივ და ეროვნულ ამოცანებზე, გლობალურ გამოწვევებზე, „ქართული ოცნების“ მმართველობის განვლილ 13 წელზე, სტაბილურობის და ეკონომიკური განვითარების მნიშვნელობაზე. პრემიერმა ხაზი გაუსვა გარე ძალების ინტერესებს და მოახლოებულ ოქტომბრის თვითმმართველობის არჩევნებს.

ყრილობაზე ირაკლი კობახიძემ პოლიტიკური საბჭოს განახლებული შემადგენლობა წარადგინა, რომელიც 15 წევრისგან ყალიბდება და თანამდებობრივად შედიან პარტიის საპატიო თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი და პარტიის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე.

მმართველ გუნდში ამბობენ, რომ ირაკლი კობახიძე ღირსეული ადამიანია.

„თუკი ვინმე არის უღალატო, ღირსეული, ინტელექტუალი, ასეთია ირაკლი კობახიძე და ის არის ადამიანი, რომელიც ბიძინა ივანიშვილთან ერთად არის იმ ბრძოლის ავანგარდში, რასაც ჰქვია ქვეყნის სუვერენიტეტისთვის, დამოუკიდებლობისთვის, გარე ჩარევების წინააღმდეგ ბრძოლა. რაც მთავარია, ის არის ქვეყნის სამსახურში ერთგულად მყოფი ადამიანი. არ შეიძლება ვინმე ამ თვისებებთან დაკავშირებით გახსენდებოდეს და არ გახსენდებოდეს ერთ-ერთი ირაკლი კობახიძე“, - აღნიშნა მედიასთან საუბარში „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა მამუკა მდინარაძემ.

ოპოზიციაში კი მიაჩნიათ, რომ ირაკლი კობახიძის პარტიის თავმჯდომარედ არჩევა არაფერს ცვლის.

„ბიძინა ივანიშვილი ცენტრალიზებულად მთელ ვერტიკალს მართავს. მის შემდეგ რა ხდება ასეთ ჰიპერცენტრალიზებულ სისტემაში, საერთოდ, საინტერესო არ არის. ამის პარალელურად, მის ქვემოთ მთელი ძალაუფლების კონსოლიდაცია კობახიძის ხელში ხდება, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, სანამ ბიძინა ივანიშვილი უცვლელ ადგილას რჩება და ისევ საპატიო თავმჯდომარეა. პროცესი მის მიერ იმართება, პოლიტიკას ის წყვეტს, ეს ოლიგარქატის მთელი არსია“, - განაცხადა მედიასთან საუბარში „ლელო - ძლიერი საქართველოს“ წევრმა თაზო დათუნაშვილმა.

მიმდინარე კვირას, აშშ-ის წარმომადგენელთა პალატაში „MEGOBARI აქტი“ განიხილეს და მხარი დაუჭირეს. კანონპროექტის მომხრე 349 კონგრესმენი იყო, მათგან 168 - რესპუბლიკელი, ხოლო 181 - დემოკრატი. წინააღმდეგ წავიდა 42 კონგრესმენი, 42-ს კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია.

კანონპროექტი სახელწოდებით „საქართველოს ანგარიშვალდებულების, გამძლეობისა და დამოუკიდებლობის შესაძლებლობების გაძლიერებისა და მობილიზაციის აქტი“ (MEGOBARI) გასულ წელს კონგრესის წარმომადგენელთა პალატაში კონგრესმენმა ჯო უილსონმა წარადგინა, მიმდინარე წელს კი 119-ე მოწვევის კონგრესში ხელახლა წარადგინა კონგრესმენებთან სტივ კოენთან, რიჩარდ ჰადსონთან და მარკ უოზისთან ერთად. აქტი რომ ძალაში შევიდეს, წარმომადგენელთა პალატის შემდეგ, მხარი სენატმა უნდა დაუჭიროს, ბოლოს კი მას ხელი დონალდ ტრამპმა უნდა მოაწეროს.

„MEGOBARI აქტი“ ქართველი ხალხის მიმართ მხარდაჭერას გამოხატავს და სხვა საკითხებთან ერთად, ადამიანის უფლებების დარღვევებისთვის და ანტიდემოკრატიული კურსისთვის საქართველოს ოფიციალური პირების წინააღმდეგ სანქციებს ითვალისწინებს.

დოკუმენტში წერია, რომ „MEGOBARI აქტი“ აშშ-ის პრეზიდენტს ავალდებულებს, სანქციები დაუწესოს იმ უცხო პირებს, მათ შორის ქართველ ოფიციალურ პირებს, რომლებიც საქართველოს უსაფრთხოებასა და სტაბილურობას საფრთხეს უქმნიან. სანქციები ვიზების შეზღუდვასა და ქონების გაყინვას მოიცავს და შეეხება 2014 წლის 1-ლი იანვრის შემდეგ პარლამენტში ან პარტიულ ხელმძღვანელობაში დასაქმებულ ყველა პირს, მოქმედ მაღალჩინოსნებს, მათ ახლო ნათესავებს იმ შემთხვევაში, თუ მათი ქმედებებიდან გარკვეულ სარგებელს იღებდნენ, ასევე მათ, ვინც მონაწილეობდა კორუფციაში ან საქართველოს ევროატლანტიკური კურსის შეჩერებას ცდილობდა...

კონგრესმენთა ნაწილი, ვინც აღნიშნულ კანონპროექტს მხარი არ დაუჭირა, აღნიშნავს, რომ ეს საშინელი იდეაა.

„ეს არასწორი მიმართულებით შემუშავებული კანონპროექტია. არ გვჭირდება ყველა იმ კონფლიქტში ჩართვა, რომელშიც გვიწვევენ და ასევე, არც დამატებითი კონფლიქტების ძებნა გვჭირდება. უნდა ვაღიაროთ, რომ საქართველოს არ შეუძლია რუსეთისგან საკუთარი თავი დაიცვას და ისინი მშპ-ს 2%-საც კი არ ხარჯავენ თავდაცვაზე, რაც ნატოში გაწევრიანებისთვის მინიმუმს წარმოადგენს. მათ ვერ დაადანაშაულებ, როდესაც დიდი ქვეყნები, მაგალითად, გერმანიაც არ ხარჯავს მინიმუმს. მათი ეკონომიკა არც ისე დიდია, ამიტომ, მაშინაც კი, თუ ისინი მეტს დახარჯავდნენ, ამას მნიშვნელობა არ ექნებოდა. ეს ჩვენი ეროვნული უსაფრთხოების მიმართ არასწორი მიდგომაა და ჩვენი სანქციების რეჟიმის ეფექტურობას ასუსტებს. ვფიქრობ, ეს საშინელი იდეაა“, - განაცხადა რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელმა უორენ დევიდსონმა.

ნაწილს კი მიაჩნია, რომ „ქართული ოცნება“ „ქართულ კოშმარად“ გადაიქცა. „საქართველო ამერიკის შეერთებული შტატების დიდი ხნის მეგობარია. საქართველოში არჩევნების დროს ვიყავი, დაახლოებით, 12 წლის წინ, როდესაც აირჩიეს „ქართული ოცნება“, მაგრამ „ქართული ოცნება“ გადაიქცა „ქართულ კოშმარად“. ეს აქტი შეაფასებს „ქართული ოცნების“ ყველა მაღალჩინოსანს სანქციებისთვის. თუ აღმოჩნდება, რომ ძირი გამოუთხარეს ქართულ დემოკრატიას, ჩართულები იყვნენ კორუფციაში, სანქციები დაუწესდებათ. ის, ასევე, ქმნის ანგარიშს საქართველოში რუსული სადაზვერვო აქტივების და რუსეთისა და ჩინეთის თანამშრომლობის შესახებ, რომელიც ძირს უთხრის საქართველოს სუვერენიტეტს. რაც ხდება, არის, ფაქტობრივად, რევოლუცია, სადაც ივანიშვილი, რომელიც მართავს პარტიას და აქვს ინვესტიციები რუსეთში, ცდილობს მათ რუსეთსა და პუტინთან დაახლოებას“, - აღნიშნა დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელმა სტივ კოენმა. აღნიშნულ კანონპროექტს გამოხმაურებები მოჰყვა ქართულ პოლიტიკურ სპექტრში.

მმართველ გუნდში ამბობენ, რომ აქტი მეგობრული ნამდვილად არ არის და იგი ეწინააღმდეგება საქართველოს მოსახლეობის ინტერესებს.

„აღნიშნულ აქტს მეგობრობასთან საერთოდ არანაირი კავშირი არ აქვს. ეს არის მტრული აქტი, რომელიც არის ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული, ძირითადად. შინაარსობრივად დაფუძნებულია სიცრუეზე, ტყუილზე, არასწორ კონკრეტულ ფაქტებზე, შესაბამისად, ეს ვერ იქნება მეგობრული“, - განაცხადა თბილისის მერმა, „ქართული ოცნების“ გენერალურმა მდივანმა კახა კალაძემ. საკითხს ეხმაურება, ასევე, აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრი „ქართული ოცნებიდან“ ცოტნე ანანიძე.

„მკვდრადშობილი ე.წ. მეგობარი აქტის მიზანი, ქართული ოპოზიციის რეინკარნაციაა. სინამდვილეში, ტრამპს თუ სურვილი აქვს, ნებისმიერი ადამიანის დასანქცირება შეუძლია, ყოველგვარი აქტების გარეშე“, - გვითხრა ცოტნე ანანიძემ.

რაც შეეხება ოპოზიციას, მიაჩნიათ, რომ „MEGOBARI აქტის“ მიღება არის გაფრთხილება ბიძინა ივანიშვილისა და მთავრობისთვის.

„კონგრესის ქვედა პალატამ, უდიდესი უმრავლესობით, „MEGOBARI აქტი“ მიიღო, რაც ქართველი ხალხის უდიდესი მიღწევაა. აქტის მიღება არის ძალიან მკაცრი გაფრთხილება ივანიშვილისთვის, ის ან დათმობს ხელისუფლებას, ან მიიღებს უმძიმეს სანქციებს დონალდ ტრამპის ადმინისტრაციისგან. ფინანსური სანქციის ქვეშ ასევე მოჰყვებიან მისი გარემოცვის წევრები, პროპაგანდისტები და კორუმპირებული ბიზნესი, ე.წ. ფინანსური ელიტა, რომელზეც დგას მისი რუსული დანაშაულებრივი რეჟიმი“, - განაცხადა მედიასთან საუბარში „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე თინა ბოკუჩავამ.

პარტიაში „გირჩი - მეტი თავისუფლება“ ამბობენ, რომ აღნიშნული აქტი შორეული პერსპექტივაა, მაგრამ ,,ქართული ოცნების" დასასრულის მომასწავებელია.

- „MEGOBARI აქტი“, ჩემი აზრით, საქართველოსა და აშშ-ის ურთიერთობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი ამბავია, რაც კი შეიძლება ამერიკელებმა გააკეთონ. ვფიქრობ, ეს შორეული პერსპექტივაა, მაგრამ თუ საბოლოოდ აქტი ამუშავდება, ამ შემთხვევაში, საქართველოს სახელმწიფოს ის ფუნქციონირება, როგორც „ქოცები“ აფუნქციონირებენ, იქნება ურთულესი. მგონია, რომ ეს აქტი რუსული რეჟიმის დასასრულის დასაწყისია, - აღნიშნა ჩვენთან საუბარში პარტია „გირჩი - მეტი თავისუფლების“ აჭარის ორგანიზაციის წევრმა თემურ გორგაძემ.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის საკითხი კვლავ განხილვის საგანია. ოპოზიციის ნაწილს ჯერ კიდევ ვერ გადაუწყვეტია, სურს თუ არა მასში მონაწილეობა. ოპოზიციის ნაწილი საპარლამენტო არჩევნების ახალი პირობებით ჩატარებას და აქციების დროს დაკავებული პატიმრების გათავისუფლებას ითხოვს. ამ დროისთვის დაზუსტებით ცნობილია, რომ ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს პარტია „გირჩი“.

„ვაგროვებთ რესურსებს, რომ აგვისტოს ბოლოს დავიწყოთ აქტიური საარჩევნო კამპანია. მე რასაც ვაკვირდები, ყველა ემზადება ამ არჩევნებისთვის, მაგრამ, როგორც ჩანს, ერთმანეთის ბულინგის ეშინიათ. ჩვენთვის სულერთია მათი გადაწყვეტილება, რადგან მათ გადაწყვეტილებებზე არ არის დამოკიდებული ჩვენი გადაწყვეტილება, მაგრამ იმედია, საბოლოოდ, უარს იტყვიან არჩევნებში მონაწილეობაზე, რათა ჩვენ მეტმა ადამიანმა მოგვცეს ხმა“, - აღნიშნა მედიასთან საუბარში პარტია „გირჩის“ წევრმა ალექსანდრე რაქვიაშვილმა. ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობაზე უარი არც პარტიას „გახარია საქართველოსთვის“ უთქვამს.

„გადაწყვეტილებას მივიღებთ ამომრჩევლებთან ერთად და, რა თქმა უნდა, მაშინ, როდესაც ამის დრო დადგება, ჩვენ ვაცნობებთ საზოგადოებას. ჩვენ მივიღებთ მონაწილეობას ნებისმიერ არჩევნებში, რომელიც დაიგეგმება ჩვენს ქვეყანაში და ვემზადებით, რადგან არჩევნები გახლავთ დემოკრატიის ინსტრუმენტი, რათა მშვიდობიანი ფორმით მოხდეს ქვეყანაში პოლიტიკური კლასის ცვლილება“, - განაცხადა მედიასთან „გახარია საქართველოსთვის“ წევრმა ტატა ხვედელიანმა.

ჯერჯერობით, ერთადერთი პარტია, რომელიც ღიად ამბობს, რომ საარჩევნო მარათონს მიღმა იქნება - „ნაციონალური მოძრაობაა“.

„ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივნის მოადგილის ირაკლი ფავლენიშვილის განცხადებით, არჩევნებთან დაკავშირებით მათი პოზიცია ძალიან მკაფიო და ცალსახაა.

„თუ არანაირ დათმობაზე არ წავიდა რეჟიმი და ადგილობრივი თვითმმართველობის წინასაარჩევნო პროცესში ჩაერთო პოლიტიკური ძალა, ეს ნიშნავს, რომ ის შევიდა კოლაბორაციაში რეჟიმთან. როდესაც რეჟიმის მხრიდან გადადგმული ნაბიჯები პოლიტიკური პარტიების და საქართველოს წინააღმდეგაა, ამ დროს საარჩევნო პროცესში ჩართვას არანაირი სამართლებრივი, მორალური, პოლიტიკური არგუმენტაცია არ გააჩნია“, - განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ირაკლი ფავლენიშვილმა.

არჩევნებში გამარჯვებისთვის ემზადება მმართველი გუნდი. „ქართულ ოცნებაში“ მიიჩნევენ, რომ ოპოზიციის ნაწილი საბოლოო გადაწყვეტილებამდე ქვეყნის გარედან მითითებებს ელოდება.

„მიიღებენ თუ არა ისინი მონაწილეობას 4 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში, მთლიანად დამოკიდებულია იმ გარე ძალებზე, რომლებიც მართავენ და აფინანსებენ მათ, ასევე, რომლებიც ცდილობენ ქვეყანაში რადიკალიზმის გაღვივებას და განვითარებას. შესაბამისად, სანამ მათგან არ ექნებათ კონკრეტული პასუხი, გვექნება ქაოსური სიტუაცია, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ეს ოპოზიცია საკუთარ თავს არ ეკუთვნის და ისინი მთლიანად მართული არიან", - აღნიშნა „ქართული ოცნების“ წევრმა გივი მიქანაძემ.

თამარ ლამპარაძე

ქრონიკა

აჭარის მთავრობის თავმჯდომარის სულხან თამაზაშვილის ხელმძღვანელობით, აჭარის მთავრობის სხდომა გაიმართა. სხდომის დასაწყისში, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, თავმჯდომარემ რამდენიმე პრიორიტეტულ მიმართულებაზე გაამახვილა ყურადღება. სულხან თამაზაშვილმა განსაკუთრებით ტურიზმის მიმართულებით მიმდინარე მოსამზადებელი სამუშაოების მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ წარმატებული სეზონი რეგიონის ეკონომიკური აქტივობის ზრდის ერთ-ერთი საფუძველია. მთავრობის თავმჯდომარემ ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბათუმში გზებისა და ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს და მათ დროულად დასრულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება როგორც ტურისტული კომფორტის, ისე ადგილობრივი მოსახლეობის გადაადგილების გასაუმჯობესებლად. ეკონომიკის მიმართულებით ყურადღება გამახვილდა მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებზე, რომლებიც მიზნად ისახავს ინვესტიციების მოზიდვას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. სოფლის მეურნეობის სფეროში საუბარი შეეხო საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობას და სოფლის მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი პროგრამების მიმდინარეობას, მათ შორის, ფართობების დამუშავების, ტექნიკის მიწოდებისა და სხვა მხარდაჭერის მექანიზმებს. ჯანდაცვის მიმართულებით, სულხან თამაზაშვილმა ყურადღება გამახვილა სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების კიდევ უფრო ეფექტიან განხორციელებაზე, განსაკუთრებით, პირველადი ჯანდაცვის გაძლიერებაზე და სოფლის ამბულატორიების ხელმისაწვდომობაზე.

* * *

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში 2026-2029 წლების პრიორიტეტების პრეზენტაცია გაიმართა. ამის შესახებ ინფორმაციას აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ავრცელებს. უწყების ინფორმაციით, მინისტრმა რესპუბლიკური ბიუჯეტის ფარგლებში დაგეგმილ მასშტაბურ ინფრასტრუქტულ პროექტებზე ისაუბრა. ჯაბა ფუტკარაძემ, ასევე, მიმდინარე და 2026 წლის საბიუჯეტო პარამეტრებზე გააკეთა აქცენტი. აჭარის მთავარი ფინანსური დოკუმენტის საბიუჯეტო პროგნოზების გათვალისწინებით, რეგიონის 2026 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის გეგმა 1 002,1 მლნ ლარს შეადგენს. აჭარის 2025 წლის 3 თვის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები 106%-ით შესრულდა. შემოსავლების გეგმა 156 237 400 ლარით, ხოლო შესრულება 165 635 700 ლარით განისაზღვრა. „მომდევნო 4 წლის განმავლობაში სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა 152,0 მლნ ლარით, ხოლო ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა 5,1 მლნ ლარი დაფინანსდება, მთის კურორტებისა და სარეკრეაციო ადგილების განვითარებაზე 41,7 მლნ ლარი დაიხარჯება, აჭარის მყარი ნარჩენების მართვის პროექტზე 57,1 მლნ ევრო, ხოლო აჭარაში წყლის სისტემის განვითარებაზე 100 მლნ ევროა გათვალისწინებული“, - ვკითხულობთ ინფორმაციაში.

რამაზ საყვარელიძე: „ქართულ ოცნებას“ არ მიაჩნდა „ნაციონალური მოძრაობა“ მიუღებელ ოპოზიციად...

საერთაშორისო პოლიტიკაზე, ტრამპის, პუტინის და ზელენსკის ურთიერთზემოქმედებასა და საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე საუბრობს „აჭარასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი ***რამაზ საყვარელიძე.***



- უკრაინის პრეზიდენტის განცხადებას, რომ „უკრაინა 9 მაისს მოსკოვში სხვა ქვეყნების წარმომადგენლების უსაფრთხოებას ვერ უზრუნველყოფს“, მოსკოვის გაღიზიანება მოჰყვა. რა გამოდის, ზელენსკი დაემუქრა პუტინს და მის სტუმრებს თუ მართლა გაბედავს თავდასხმას?

- რა თქმა უნდა... მუქარის მეტი რომც არაფერი გააკეთოს, უკვე თქვა სათქმელი. საერთაშორისო ურთიერთობებისთვის უცხოა, როდესაც თავს ესხმიან არა სამხედრო მეტოქეს, არამედ სხვა ქვეყნიდან ჩასულ მის სტუმრებს, რომლებიც, მაგალითად, უკრაინასთან არ აწარმოებენ ომს. ეს, დაახლოებით, მშვიდობიან მოსახლეობაზე შეტევას უტოლდება. გერმანიამაც კი ვერ გაბედა საბჭოთა კავშირზე თავდასხმა აღლუმის დროს, თუმცა მოლოდინი აშკარად იყო. ასეთი მცდელობა არც ყოფილა სამხედრო ისტორიაში, მაგრამ ვფიქრობ, ყველაფერი შესაძლებელია, რადგან საერთაშორისო ნორმებს აღარავინ იცავს. ზელენსკიმ რომ ვერც გაბედოს მოსკოვზე თავდასხმა 9 მაისს, ეს განცხადება მიანიშნებს პოტენციურ სტუმრებს, უარი თქვან მიწვევაზე. თუკი ზოგიერთი მაინც ყურად იღებს ამ გაფრთხილებას, ესეც კი ზელენსკისთვის დადებითი შედეგი იქნება.

- რაც შეეხება ტრამპისა და პუტინის ურთიერთობებს, თითქოს გაცივდა, აღარ ახსენებს მასთან სატელეფონო საუბრებს და უფრო მეტად ზელენსკის მხარეს იჭერს.

- ანალიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ ტრამპმა რუსული პოლიტიკა გაატარა. ვერსია, თითქოს ამერიკა რუსეთს უწყობს ხელს, თავად ზელენსკიმ უკარნახა საზოგადოებრიობას. მე მაშინაც ვვარაუდობდი, რომ ასე მარტივად არ არის საქმე - ვის ვინ უყვარს და ვის ვინ ესიმპათიურება, არ თამაშობს არავითარ როლს, როდესაც საქმე უფრო დიდ მიზანს ემსახურება. ტრამპი რომ იღვწის ომის შეწყვეტისთვის, ეს ხომ ფაქტია? კაცთმოყვარეობის გარდა, ამას სხვა მიზეზიც აქვს: ომს აწარმოებენ ის ჯგუფები, რომლებიც ტრამპს უპირისპირდებიან. აქ ვგულისხმობ ამერიკაში, ბაიდენის ხაზით მოქმედ გაერთიანებებსაც, რომლებიც იარაღით (და ასე შემდეგ) უზრუნველყოფენ ფრონტს. ცხადია, ევროპელებიც იგივეს აკეთებენ, რადგან სწორედ ბრიუსელია დღეს ლიბერალიზმის ცენტრი. ამ ომში მხოლოდ დანაკარგები არ არის, მას წმინდა ფინანსური მოგებაც მოაქვს როგორც რუსეთში, ისე უკრაინაში და იმ ქვეყნებშიც, რაღაც ფორმით მაინც რომ არიან ჩარეული. ტრამპის ამოცანაა, ლიბერალებს გადაუკეტოს ომის ფინანსური უკუგება. მას იგივე მიზანი ამოძრავებდა ლიბერალების დამხმარე სტრუქტურის USAID-ის გაუქმების დროსაც. იმ პერიოდში აცხადებდა ტრამპი, ომი უნდა დასრულდესო. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, ეს ერთი და იგივე მოტივის გამოძახილია. მხოლოდ ფინანსური წყაროს გადაკეტვით მიაღწევს ტრამპი ლიბერალების დასუსტებას, ისინი ვეღარ შეძლებენ საერთაშორისო პოლიტიკის წარმოებას და დათმობენ მსოფლიო ბატონობის პოზიციებს. ლიბერალების ფინანსური სტრუქტურები ემსახურება კონსერვატორებთან ბრძოლას, მათ შორის, საქართველოშიც. დღემდე გაიცემა თანხები საპროტესტო აქციებზე და რატომ - დემოკრატია აწუხებთ? გულუბრყვილოები ნუ ვიქნებით. გამოდის, 9 წელიწადი, სააკაშვილის რეჟიმის დროს, არ აწუხებდათ ეს ფენომენი და ახლა შეწუხდნენ? თან ისე „შეწუხდნენ“, რომ ითხოვენ სააკაშვილის ხელისუფლებაში დაბრუნებას?!

- ადრე არც ივანიშვილი აწუხებდათ და ახლა რატომ გაამძაფრეს ზეწოლა?

- სავარაუდოდ, დაპირისპირება დაიწყო, როდესაც „ქართული ოცნება“ მსოფლიოში მოქმედ კონსერვატორების მოძრაობას შეუერთდა. ევროპელ ლიბერალებს სურთ, კონსერვატორების მომხრე ქვეყანაში შეცვალონ ხელისუფლება. იგივე სურათია უნგრეთშიც. ხომ ხედავთ, რუმინეთში კონსერვატორების თორემ შუალედურ, შემდეგ კი ძირითად არჩევნებზე ამოტივტივდებიან... ხომ არსად მიდის, არ იხოცება ეს ხალხი? ასე რომ, რაღაც უნდა მოუხერხოს... დემოკრატები კი არ ეპუებიან ტრამპს, აგრძელებენ მუშაობას, თანაც - ძალიან ენერგიულად და ინტენსიურად. ანალოგიური ბრძოლები ტრამპს ევროპაშიც ელის. მას იმედი ჰქონდა, რომ ევროპაში გაიმარჯვებდა ანტილიბერალური ძალები, მაგრამ ვნახეთ, რომ გერმანიის კონსერვატორების პარტია ლამის აკრძალვის პირასაა. რუბიოს უკვე ჰქონდა ამაზე რეაქცია, თქვა, რომ ევროპა არ იქცევა დემოკრატიულად.

- „ქართული ოცნების“ ხელისუფლების წარმომადგენლები რამდენიმე დღეა, თავს იწონებენ ვიცე-პრემიერ ლევან დავითაშვილის ხელმძღვანელობით საქართველოს სამთავრობო დელეგაციის ამერიკაში ვიზიტით. ეს შეხვედრები თუ ჩაითვლება ქვეყნის ეკონომიკისთვის წინ გადადგმულ ნაბიჯად?

- ნამდვილად აქვთ თავის მოწონების უფლება, რადგან ასეთი შეხვედრები გულისხმობს საკუთარ პოლიტიკურ უწყებასთან შეთანხმებას ამა თუ იმ ქვეყნის დელეგაციების მოსაწვევად. გამოდის, საქართველოს ვიცე-პრემიერთან შეხვედრას წინ უძღოდა აშშ-ის სახელმწიფო სტრუქტურის მიერ გაცემული ოფიციალური ნებართვა. ასე რომ, ეს ვიზიტი შეიძლება ჩაითვალოს დასავლეთის კარების გახსნის ერთ-ერთ ფრაგმენტად.

- დემოკრატია წარმოუდგენელია თავისუფალი მედიის გარეშე. რა კომენტარს გააკეთებთ სახელმწიფოს მიერ „მთავარი არხის“ დახურვასთან დაკავშირებით?

- ეს არხი კერძო სტრუქტურაა და დახურა მისმა ხელმძღვანელობამ. არსად ჩანს, რომ სახელმწიფოს ხელი ურევია. ხელისუფლებას რაიმე ნორმა რომ შემოეღო, რომელიც გაურთულებდა მათ საქმეს, სხვა არის. თან თავისუფალი მედია დაფინანსებულ მედიას ხომ არ ნიშნავს? ხელისუფლების მედია არ მიგვაჩნია თავისუფლად, რადგან ვთვლით, რომ ის ბიუჯეტის კმაყოფაზეა, მაგრამ პოლიტიკური პარტიები თუ აფინანსებენ ტელევიზიას, ის ტელევიზია თავისუფალია? რა თქმა უნდა - არა.

- რა მოტივით დახურავდა არხს თავად მისი ხელმძღვანელობა?

- ამ ბოლოს, ოპოზიციური ტელევიზია უფრო მეტი იყო საქართველოში, ვიდრე მთავრობის პოლიტიკის გამტარებელი. თან ისიც გაითვალისწინეთ, რომ ამ ხნის განმავლობაში ამ არხებს სახელმწიფოს მხრიდან პრობლემა არ შექმნია. მოდით, გავიაზროთ თავად „მთავარის“ ხელმძღვანელობის პოზიცია, ისიც ხომ კერძო ბიზნესის მფლობელია - 12 წელია, აფინანსებს. მე და თქვენ რომ ვიყოთ ამ არხის მფლობელები, ხომ გაგვიჩნდება აზრი, თუ ამ წლების განმავლობაში ტელევიზიამ ვერავითარი პოლიტიკური შედეგი ვერ გამოიღო, იქნებ არ ღირს მისი დაფინანსება?

- ანუ თვლით, რომ „მთავარის“ დახურვაში „ქართულ ოცნებას“ მონაწილეობა არ მიუღია?

- არა, ვთვლი, რომ „ქართულ ოცნებას“ არ სჭირდებოდა ამ არხის დახურვა. ჩვენ კარგად გვახსოვს „რუსთავი 2“-ის მეშვეობით მართული პროტესტი. მაშინ მხოლოდ ის იყო ოპოზიციური არხი, რომელსაც მთელი საქართველო უყურებდა და კიდეც შეასრულა უდიდესი როლი იმ პროტესტის მომწიფებაში, რომელმაც „ვარდების რევოლუცია“ შვა. 12 წელია, ამ ოპოზიციურ არხებს, მათ შორის, „მთავარს“, უყურებს ქართული საზოგადოება. რა ეტყობა ახლა საპროტესტო ტალღას საიმისო, რომ ხელისუფლებას შეცვლის? ესე იგი ამჟამინდელი ხელისუფლებისთვის ეს ტელევიზია სახიფათო არ იყო, შევარდნაძის ხელისუფლებისგან განსხვავებით, რომელიც სწორედ „რუსთავი 2“-ის მეშვეობით გადააყენეს. ამის მიუხედავად, ჯერ კიდევ მაშინ შევარდნაძემაც ვერ გაბედა მისთვის ხელის ხლება, რადგან მთელი მსოფლიო უყურებდა. ანალოგიურად, ახლაც მთელი მსოფლიო გიყურებს, რამე რომ გააკეთო, ხომ იყვირებენ, რომ თავისუფალ მედიას ხურავ... მედიის დახურვის ცოცხალი ფაქტი გვქონდა სააკაშვილის დროს, „იმედში“ რომ შევარდნენ მისი ზონდერ-ბრიგადები. იმდენად მკაფიო იყო ამ მოვლენის დემოკრატიასთან შეუსაბამობა, რომ თავად სააკაშვილი გადადგა პრეზიდენტობიდან, თუმცა შემდეგ ყველაფერი გააკეთა, ხელახალ არჩევნებში ისევ რომ მოეგო. მან ეს გადადგომა გაითამაშა დასავლეთთან ქულების დასაწერად, რადგან ვერ მოიგებდა მათ თვალში ის ხელისუფლება, რომელიც ტელევიზიას დახურავდა.

- რაც შეეხება „ნაციონალური მოძრაობის“ აკრძალვას, გადაიდო იმის გამო, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ვადებში ვერ ჯდება თუ იმიტომ, რომ ხელისუფლებამ დასავლეთს კიდევ ერთი საბაბი არ მისცა?

- საკონსტიტუციოს გარდა, ცხადია, აქ როლი ითამაშა დასავლეთის პოზიციამაც. ახლა ვლაპარაკობდით მედიის დახურვის მკაცრ შედეგებზე. ამაზე უფრო რთული პროცესია პარტიის გაუქმება. რამდენჯერმე გაიჟღერა ევროპის პოლიტიკურ წრეებში, რომ საქართველოში ოპოზიციურ პარტიებს დევნიან. ვფიქრობ, „ნაციონალური მოძრაობის“ გაუქმების გადადებაში გარკვეული როლი ევროპული შეფასების მოლოდინებმაც ითამაშა. ალბათ, ხელისუფლებამ გადაწყვიტა, არ იჩქაროს, დააგროვოს საპარლამენტო საგამოძიებო კომისიაზე მიღებული მასალები. ერთი მხრივ, ამ მასალების მოწესრიგება დროს ითხოვს და, მეორე მხრივ, უცხოელ ოპონენტებს სურთ, აჩვენონ, რა რეიტინგის პარტიასთან აქვთ საქმე. კიდევ ერთ არგუმენტს მოგიყვანთ ამ საკითხზე, კერძოდ, ისმის კითხვა, არის თუ არა დღეს ოპოზიცია ისე ძლიერი, რომ მისმა დევნამ გადაარჩინოს „ქართული ოცნება“, თუ ამ დევნას პოლიტიკური კი არა, სუფთა წყლის იურიდიული დატვირთვა აქვს? დღეს რეალურად გერმანიის მთავრობა დევნის საკუთარ ოპოზიციას იმიტომ, რომ გამარჯვებულ პარტიაზე მეტი რეიტინგი აქვს. ასეთ დევნაში აშკარად იკითხება პოლიტიკური შინაარსი, რადგან კარგად ჩანს, რომ თუ აკრძალავენ კონკრეტულ პარტიას, მაშინ მმართველი ძალა უზრუნველყოფილი იქნება ძალაუფლებით. „ნაციონალური მოძრაობის“ ბირთვზე აღმოცენებული ეს პარტიები კი კიდეც რომ აიკრძალოს, ამით „ქართულ ოცნებას“ არც მოემატება და არც დააკლდება რამე. გახსოვთ, სულ იყო ლაპარაკი, რომ ივანიშვილი ინახავს „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“, რადგან მის ფონზე უკეთესად ჩანს და მეტი ამომრჩეველი ჰყავსო. აქედან გამომდინარე, ვასკვნი: „ქართულ ოცნებას“ არ მიაჩნდა „ნაციონალური მოძრაობა“ მიუღებელ ოპოზიციად, პირიქით, მის ლიკვიდაციაზე მეტად აძლევდა ხელს, იგი პოლიტიკაში ყოფილიყო.

- ახლა რა მოხდა, რატომ გაახსენდა „ქართულ ოცნებას“, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ასაკრძალია?

- ბოლო ხანებში ამ ჯგუფმა დაიწყო უცხოელებთან ურთიერთობა და მათი წაქეზება საქართველოზე შეტევისთვის. ყველა „ის“ რეზოლუცია ხომ ამათი დაწერილი ტექსტითაა შედგენილი. შეიკრა კავშირი ამ ხელისუფლების ევროპელ ოპონენტებსა და ადგილობრივ ოპოზიციას შორის. ეს უკვე მნიშვნელოვანია და პირდაპირ ურტყამს სახელმწიფო ინტერესებს. თუკი დამტკიცდება ამ ხალხის მიერ წლების განმავლობაში ჩადენილი კრიმინალური ფაქტები, ასე იოლად ვეღარ დააჯერებენ საკუთარ „სიმართლეში“ უცხოეთის სტრუქტურებს. აქედან გამომდინარე, მთავრობა ცდილობს, თავისი კუთვნილი ადგილი მიუჩინოს დაუსჯელობით გატაცებულ პერსონებს... ან ის რად ღირს, სულ უცხოეთში რომ დარბიან... ადგილობრივ ამომრჩევლებთან უკვე აღარც მიდიან, საარჩევნო კამპანია არც უწარმოებიათ, რადგან იქაურების იმედი აქვთ... აქაური ელექტორატი მათი პარტნიორი ვერ გახდა, ევროპელი ლიბერალები დაიყენეს გვერდით, რომლებიც ებრძვიან ქართულ სახელმწიფოს, როგორც კონსერვატიული ძალის ბალავარს.

- ბატონო რამაზ, როგორ ფიქრობთ, მიიღებენ არჩევნებში მონაწილეობას ოპოზიციური პარტიები?.. აქამდე უარყოფდნენ, თუმცა ახლა თავს იკავებენ კომენტარებისგან.

- ალბათ, მიიღებენ... პრინციპში, სხვა ქვეყნებში პარტიებს იმიტომ კრძალავენ, არჩევნებში რომ არ მიღონ მონაწილეობა, აქ კი თავად არ სურთ ეს. მოკლედ, სრული გაუგებრობაა... ეს არ არის შემთხვევითი, ევროპის ლიბერალებს ხელს აძლევს, არ შეწყდეს საქართველოში საპროტესტო აქციები. მეორე მხრივ, ვიღაცები ხომ აფინანსებენ ამ პარტიებს და თუ არ მიიღებენ არჩევნებში მონაწილეობას, გამოდის, ტყუილად ყრიან ფულს? ტელევიზია რისთვის გინდა? შენი პოზიცია რომ გააცნო ხალხს, რომელიც შემდეგ თავის არჩევანს გააკეთებს საარჩევნო უბნებში, ამ დროს კი ოპოზიცია სახლში ზის... დიდი შანსია, რომ ქართული ოპოზიციის მთლიანი სისტემა ამ დილემის წინაშე აღმოჩნდეს - პარტიების წევრები, მათი დამფინანსებლები, მათი ხელშემწყობები და სხვა... ჯერ კიდევ აქვთ პოზიციის შეცვლის დრო, მაგრამ თუკი იგივეს გააგრძელებენ, მაშინ მათი დახმარება და მათზე აპელირება აზრს დაკარგავს. ამიტომ მგონია, რომ რაღაც ეტაპზე ეს ხაზი: „არალეგიტიმური მთავრობა, არალეგიტიმური არჩევნები“ ნელ-ნელა ჩაქრება და ოპოზიცია შედგება ჩვეულ რელსებზე, რომლითაც მოძრაობს ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერი ოპოზიციური პარტია, ანუ მიიღებს მონაწილეობას რიგით არჩევნებში და მიღებული ხმებით იმუშავებს საკრებულოებში. აქვე აღვნიშნავ, რომ ადგილობრივ არჩევნებს განსაკუთრებული როლი აქვს, რადგან ეს არის ბერკეტი, გამორჩეული დეპუტატების შემდგომ საპარლამენტო არჩევნებში გასაყვანად. იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენი ოპოზიციაც გონს მოეგება და იმუშავებს ქვეყნის, ხალხის საკეთილდღეოდ.

ირმა ცეცხლაძე

> ***„მხოლოდ ფინანსური წყაროს გადაკეტვით მიაღწევს ტრამპი ლიბერალების დასუსტებას, ისინი ვეღარ შეძლებენ საერთაშორისო პოლიტიკის წარმოებას და დათმობენ მსოფლიო ბატონობის პოზიციებს. ლიბერალების ფინანსური სტრუქტურები ემსახურება კონსერვატორებთან ბრძოლას, მათ შორის, საქართველოშიც. დღემდე გაიცემა თანხები საპროტესტო აქციებზე და რატომ - დემოკრატია აწუხებთ? გულუბრყვილოები ნუ ვიქნებით***

„უნდა მოიძებნოს ცივილიზაციის წინა ფრთაზე მყოფი ქვეყნებისა და ჩვენი ეროვნული ინტერესების თანხვედრის ველი“

მართალია, ოპოზიცია კატეგორიულად ითხოვს ახალ საპარლამენტო არჩევნებს და მოსახლეობას არწმუნებს, რომ ხელისუფლებას მოუწევს კომპრომისზე წასვლა, მაგრამ ჯერჯერობით რეალობა სხვაგვარია: საპროტესტო მუხტმა იკლო, ოპოზიცია დაქსაქსულია, მოსახლეობის ნაწილი - ინდიფერენტული, მმართველი პარტია კი ამ მხრივ შეკრულია მიუხედავად იმისა, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებაში საკადრო ცვლილებები განხორციელდა

ევროკავშირში შემავალი ქვეყნები (გამონაკლისი უნგრეთი და სლოვაკეთია) და აშშ ჯერჯერობით არ აღიარებენ არსებული ხელისუფლების ლეგიტიმურობას, რაც, ცხადია, ჩვენს ქვეყანას გარკვეულ დისკომფორტს უქმნის როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური კეთილდღეობის თვალსაზრისით. მმართველ გუნდსა და ოპოზიციას შორის ურთიერთობის დარეგულირებაც კვლავ პრობლემად რჩება. რა არის ამის მიზეზი? რამ მიიყვანა ჩვენი ქვეყანა ამ მდგომარეობამდე, ანუ რა შეცდომები დაუშვეს პოლიტიკურ სპექტრში? - ამის გარკვევას ანალიტიკოს ***ვაჟა ბერიძესთან*** *ერთად შევეცადეთ.*

- „ჩვენ უკვე უფრო და უფრო ვემსგავსებით აზერბაიჯანულ, თურქულ, სომხურ და თვით რუსულ დემოკრატიასაც კი“ - თქვენი ასეთი თვალსაზრისი რამ განაპირობა, რაა თვალსაჩინო?

- დემოკრატია, ძველი ბერძნებიდან მოყოლებული, სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვანაირად აღიქმებოდა თანამედროვეთა მიერ. დემოკრატია, დეკლარირებული მიზანი - რომ დემოკრატიულად, ანუ ხალხის მიერ იმართოს ქვეყანა, პანაცეა არ არის. დემოკრატია საზოგადოების შეთანხმების საგანი და მიზნის მიღწევის საუკეთესო საშუალებაა. თავი რომ დავანებოთ ჩერჩილს, რომელმაც თქვა, რომ ეს სისტემა ხარვეზებიანია, მაგრამ უკეთესი არ არსებობსო, და ასევე, თავი რომ დავანებოთ 2500 წლის წინანდელ თუკიდიდეს დამოკიდებულებას უკიდეგანო დემოკრატიისადმი (იგი, მოგეხსენებათ, ოლიგარქიისა და დემოკრატიის ნაზავს ანიჭებდა უპირატესობას), დემოკრატია არის პროცესი და მიზნის მიღწევის საშუალება. აქედან გამომდინარე, ჩემი პასუხიც თქვენს შეკითხვაზე - რუსებიც დარწმუნებულები არიან, რომ დემოკრატია აქვთ, თურქებიც, აზერბაიჯანელებიც და, რაღა თქმა უნდა, ჩვენი დღევანდელი ხელისუფლების მხარდამჭერებიც. მათ მსჯელობაში არის ჭეშმარიტების მარცვალი, მაგრამ მთლიანობაში არასრული, ტენდენციური და ხარვეზიანია. არც დიდი მოაზროვნეების ნაფიქრალს შეესატყვისება და არც უბრალო, საღ აზრს, რომ, დავუშვათ, რუსეთში არსებობს სრულყოფილი დემოკრატია, ან გნებავთ - აზერბაიჯანში. იქ არ არის სრულფასოვანი პოლიტიკური პროცესი, თუმცა ეს ამ ქვეყნების მოქალაქეთა უმრავლესობას მაინცდამაინც არ აწუხებს, რადგან უკეთესი მომავლისკენ მიმავალ გზაზე სხვა წონადი არგუმენტები ეიმედებათ, რუსებს - ატომური ფარი და ბუნებრივი რესურსები, აზერბაიჯანს - ენერგომატარებლების უზარმაზარი მარაგი. ახალ დროში დემოკრატია გახდა თავისუფლების და კაპიტალის მეშვეობით კეთილდღეობის შექმნის გზა და ამდენად, უფრორე დასავლური პრაქტიკა შეესატყვისება დემოკრატიის ცნებას, ვიდრე აზერბაიჯანული, რუსული ან გნებავთ თურქული, თუმცა ისიც ასევე ხარვეზიანია, რამეთუ დაუშვა ორი მსოფლიო ომი. თქვენ ჩემი მოსაზრება ჩადეთ კითხვის საფუძველში, მე განვმარტე, თუ რა იყო ასეთი დასკვნის საფუძველი. ამიტომ გამომივიდა პასუხი ვრცელი და რომ გავყვე ჩვენთან არსებულ სიტუაციას, უნდა განვიხილო ერთპარტიული პარლამენტი; ფაქტობრივად, იმავე პარტიის მიერ დანიშნული ოპოზიცია; შიდაპარტიული დემოკრატიის ფაქტობრივი უგულებელყოფა არა მარტო სახელისუფლო, არამედ ოპოზიციურ პარტიებშიც; დეპოპულაციის სახიფათო პროცესი; სუსტი ეკონომიკა, ეკონომიკური ზრდის არსებობის პირობებშიც კი; უმუშევრობის მაღალი დონე; უცხოეთიდან გადმორიცხვების იმედად მყოფი სოციალური სტაბილურობა; პროპაგანდის ინსტრუმენტად ქცეული თავისუფალი მედია - სახელისუფლოც და ოპოზიციურიც; ერთი ფულის დომინირება პოლიტიკაში და ასე შემდეგ. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ჩვენ შეიძლება, არა დემოკრატიად, არამედ სპეციფიკურ, ქართულ დემოკრატიად ჩამოვყალიბდეთ. მით უმეტეს, როცა ახლა დასავლეთიდან საქართველოში დემოკრატიის უკუსვლაზე საუბრობენ... და ეს იმის გათვალისწინებით, რომ მათი მოსაწონი წინა ხელისუფლების დემოკრატია იყო წმინდა წყლის ავტორიტარიზმი და ბევრი თვალსაზრისით - კოშმარი.

- ამ ვითარებაში როგორია პოლიტიკური სპექტრისა და საზოგადოების როლი?

- პოლიტიკური სპექტრის როლი არსებითია, მაგრამ მას ასეთი როლის შესრულება დღეს არ შეუძლია, რამდენადაც პოლიტიკური პარტიები არა საზოგადოების ნაწილის, არამედ, ხშირად, თვითაღიარებული ბელადების პოლიტიკური და ფინანსური ინტერესების გამომხატველია, საზოგადოება კი ჩვენთან, ფაქტობრივად, არანაირ როლს არ ასრულებს პოლიტიკურ პროცესში, რადგან ხალხი 90-იანების დასაწყისიდან, როცა ჩაითვალა, რომ მან არასწორი არჩევანი გააკეთა, გაძევებულია პოლიტიკიდან და მხოლოდ „ძლიერთა ამა სოფლისათა“ შეთავაზებისთვის კვერის დამკვრელის ფუნქცია აქვს.

- რა უნდა გაკეთდეს, რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას, ევროპული ქვეყნების დემოკრატიულ სტანდარტებს რომ მივუახლოვდეთ?

- საამისოდ უნდა მოიძებნოს ცივილიზაციის წინა ფრთაზე მყოფი ქვეყნებისა და ჩვენი ეროვნული ინტერესების თანხვედრის ველი. ასეთი ველი, სადღეისოდ, არ არსებობს. უცებ აღმოჩნდა, რომ ცივილიზებული დასავლეთი, კეთილდღეობის და დემოკრატიის მოწინავე ციტადელი, საითკენაც ჩვენ მივისწრაფვით, ღრმა კრიზისშია, ჩინეთმა და მისმა სწრაფად მზარდმა ეკონომიკამ ლამის შეერთებულ შტატებს ლიდერობა ჩამოართვას. დასავლეთი, დეინდუსტრიალიზებული, იმიგრაციისგან გამოწვეული სერიოზული პრობლემებით დამძიმებული, უიმედო ჩიხშია. ამის ნათელი მაგალითია ხელისუფლებაში ტრამპის მოსვლა, რაც ამერიკა-ევროპის დაპირისპირების ლეგალიზებაა. ეს კი პრინციპული სიახლეა შტატების მიერ მხარდაჭერილი და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, „მარშალის გეგმის“ საფუძველზე მოღონიერებული ევროპის პერსპექტივის თვალსაზრისით. იმ სტანდარტებს რომ მივუახლოვდეთ, ისინი კრიტიკულად უნდა გავიაზროთ მიუხედავად იმისა, რომ ამისთვის შეიძლება, საყვედურებიც მივიღოთ და დავისაჯოთ კიდეც. აქვე დავაზუსტებ, რომ ჩემი ეს მოსაზრება არ გულისხმობს იმ პრაქტიკის და ტაქტიკის უკრიტიკოდ მიღებას, რაც სადღეისოდ კობახიძის მთავრობას აქვს. ბევრ მომენტთან დაკავშირებით, როგორც ანალიტიკოსს, კითხვები მაქვს.

- თუ ჩვენი ქვეყანა ევროპულ სტანდარტებს ვერ ან არ დააკმაყოფილებს, ეს რამდენად საზიანო იქნება მისთვის?

- მთავარია სტანდარტების შინაარსი. ცალსახად ევროპულ სტანდარტებს უკვე შეერთებული შტატების ახალი ადმინისტრაციაც კი არ ეთანხმება და ჩვენ რატომ უნდა დავეთანხმოთ?! მთავარია, მიდგომები იყოს გონივრული, პოლიტიკური პრაგმატიზმის პრიზმაში გარდატეხილი და მასზე დაფუძნებული. ეს უკვე პოლიტიკური კლასის ფუნქციაა, რომელიც ჩვენთან, სამწუხაროდ, სუსტია.

- ცხადია, გვერდს ვერ ავუვლით ამ ბოლო დროს ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს, ამ მხრივ რამდენად თანმიმდევრული არიან მმართველი პარტია და ოპოზიცია სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით?

- ჩვენ ირგვლივ ზუსტად ის მოვლენები ვითარდება, რომლებსაც ვიმსახურებდით და ვიმსახურებთ. თანმიმდევრული მმართველი პარტიაცაა და ოპოზიციაც. სხვა საკითხია, ეს თანმიმდევრულობა რამდენად ეფუძნება საღ აზრს. მე მგონია, რომ ორივე მხარე საკუთარ ნაჭუჭშია ჩაკეტილი და მოქმედებს დიდი სურათისგან აბსტრაჰირებულად. ეს, რა თქმა უნდა, სახიფათოა ქვეყნისთვის.

> ***„იმ სტანდარტებს რომ მივუახლოვდეთ, ისინი კრიტიკულად უნდა გავიაზროთ მიუხედავად იმისა, რომ ამისთვის შეიძლება, საყვედურებიც მივიღოთ და დავისაჯოთ კიდეც. აქვე დავაზუსტებ, რომ ჩემი ეს მოსაზრება არ გულისხმობს იმ პრაქტიკის და ტაქტიკის უკრიტიკოდ მიღებას, რაც სადღეისოდ კობახიძის მთავრობას აქვს. ბევრ მომენტთან დაკავშირებით, როგორც ანალიტიკოსს, კითხვები მაქვს***

- ხელისუფლებაში განხორციელებულ საკადრო ცვლილებებზე პოლიტიკოსები არაერთგვაროვნად რეაგირებენ. თქვენ რას იტყვით?

- მე საკადრო ცვლილებებზე არანაირად ვრეაგირებ, რა თქმა უნდა, როგორც ერთი მოქალაქე და ანალიტიკოსი, რადგან ხელისუფლების საკადრო პოლიტიკაზე ზეგავლენის მოხდენა რთულია, შეიძლება ითქვას, შეუძლებელიც კი. სააკაშვილის საკადრო პოლიტიკა იყო ვოლუნტარისტული, თუმცა ლამაზად შეფუთული, მაგალითად, სიტყვით მერიტოკრატიის აღიარებით. დღევანდელი საკადრო პოლიტიკა ბიძინა ივანიშვილის საკადრო პოლიტიკაა და მის ხედვებს ეფუძნება, რომლის საფუძველშიც დევს ბანკირობის დროინდელი პრაქტიკა - ყველა „ლიფტიორისა“ და დაცვის თანამშრომლისგან შეიძლება ბანკირის გაკეთება, თუ მას განათლების ოფიციალური დოკუმენტი აქვს. კონკრეტული გადაწყვეტილებებიდან ზოგი მისაღებია, ზოგი - არა იმის შესაბამისად, ამა თუ იმ მაღალი თანამდებობის პირის საქმიანობას ვიცნობ თუ არა. ხშირად ჩემთვის და, ვფიქრობ, ბევრისთვის, უცნობი ადამიანები ინიშნებიან მაღალ თანამდებობებზე. რახან თქვენ აჭარიდან ბრძანდებით, აღვნიშნავ აჭარის მთავრობის მეთაურის პოსტზე ბოლო გადაწყვეტილების თაობაზე, რომ ეს წარმატებული და იმედისმომცემი გადაწყვეტილებაა. ბატონი თამაზაშვილი სერიოზული ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე ჩინებული გვარიშვილია და დარწმუნებული ვარ, თავს გაართმევს ამ სერიოზულ პოზიციას. რაც შეეხება მთავრობის წინა მეთაურს, ჩემთვის მისასალმებელი იყო, თავის დროზე, მისი დანიშვნა, თუნდაც იმიტომ, რომ ის მაღალმთიანი აჭარიდან იყო წარმომავლობით. არადა, მაღალმთიანი აჭარის წარმომადგენელი, თუ არ ჩავთვლით საბჭოთა პერიოდში აჭარის პირველ პოზიციაზე ბატონი პაპუნიძის დანიშვნას, აჭარის ლიდერი არ ყოფილა. ამდენად, ეს გადაწყვეტილება პოლიტიკური თვალსაზრისითაც იყო საყურადღებო. ახლახან გავრცელებული ინფორმაცია, რომ რომელიღაც რესტორანში ბატონი რიჟვაძე თანამოაზრეებს შეხვდა, კონტექსტით, რომ ეს შეხვედრა, გარკვეული თვალსაზრისით, დაპირისპირების მაპროვოცირებელი იყო, რა თქმა უნდა, მიუღებელია. ბუნებრივია, დემოკრატია აჭარაშიც გულისხმობს პლურალიზმს და შეხედულებების შეპირისპირებას, მაგრამ, ვითარების სირთულიდან გამომდინარე, ქვეყანასა და საერთაშორისო არენაზე აჭარის ამჟამინდელ და ყოფილ ხელისუფალს და მათ მხარდამჭერებს შორის დაპირისპირება დაუშვებელია და ეს ყველამ კარგად უნდა გააცნობიეროს.

- პარლამენტში შეიქმნა ყოფილი ხელისუფლების დანაშაულის შემსწავლელი კომისია...

- წინა ხელისუფლების დანაშაულებრივი საქმიანობის შემსწავლელი კომისიის შექმნა აშკარად დაგვიანებულია, თუმცა - გასაგები. არ შეიძლება, სტრატეგიული პარტნიორობა გქონდეს აშშ-სა და ევროკავშირთან და მის ფავორიტებს საქართველოში ასამართლებდე. რაღაც არის ამაში უკან მიდევნებული ლამპარივით, მაგრამ იმ გადაცდომებსა და დანაშაულებზე მსჯელობა აუცილებელია ჩვენი საზოგადოების კათარზისისთვის, რაც სრულფასოვნად ჯერაც არ მომხდარა.

- მრავალთვიან საპროტესტო აქციებს, ახლაც რომ გრძელდება, თითქოს შევეჩვიეთ, მუხტიც ნელდება...

- საპროტესტო აქციების მუხტი, რა თქმა უნდა, შენელებულია, თუმცა ის, რომ საპროტესტო აქციები, თუნდაც ამ შენელებული მუხტით, ჯიუტად გრძელდება, გასაგებია. ვფიქრობ, ქვეყნის პერსპექტივას უფრო წაადგებოდა რევოლუციური სცენარით ხელისუფლების შეცვლის სტრატეგიის მარცხის აღიარება, ოპოზიციის პარლამენტში შესვლა, იქაური ტრიბუნის გამოყენება მომხრეთა მობილიზებისთვის და მეტი ადეკვატურობის შეტანა საპროტესტო მოძრაობაში. მშვიდობიანს რომ უწოდებ აქციებს, რომელიც შიგადაშიგ აშკარად არ იყო მშვიდობიანი, მხარდამჭერები არ მოგემატება, ქართულ ხასიათში სიყალბისადმი მოუთმენლობა მკაფიოა. ჩვენ პროცესის სიღრმისეული ასპექტიდან გამოვდივართ ყოველთვის. ევროპა და კეთილდღეობა გვინდა, მაგრამ არა ეროვნული ინტერესების საზიანოდ. აქ თითოეული ცნება დაზუსტებას საჭიროებს, მაგრამ მე ამოვდივარ საზოგადოების უმრავლესობის მიერ ამ ცნებების აღქმიდან. ეს, რუსო, რუსოს ძახილი, ეს, მონა, მონას სკანდირება, სწორედ, აგდებს, დაბლა სწევს ამ მუხტს მიუხედავად იმისა, რომ არსებითად, პროტესტის მონაწილე ახალგაზრდები მართალი განწყობისანი არიან და სწორად მიაჩნიათ, რომ საქართველო გამოქვაბულში ვერ დაბრუნდება და უნდა იაროს წინ.

- რა სტადიაშია ამჟამად ოპოზიციური სპექტრი?

- ოპოზიციური სპექტრი სერიოზულ კრიზისშია. მხარდამჭერების რაოდენობა არ იზრდება, ფინანსური რესურსი, ფაქტობრივად, არ გააჩნიათ, პოპულარული ახალი ლიდერები არ ჰყავთ. მელია, გვარამია, ზურაბიშვილის რეიტინგი დაბალია. და მთავარი - ამის გაცნობიერება-გააზრების და შეცვლის წინაპირობებს ვერ ვხედავ.

- ოპოზიცია ჯერჯერობით ჩამოუყალიბებელია ოქტომბრის ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობა-არმონაწილეობის საკითხში. ეს რისი მანიშნებელია?

- ოპოზიციის მონაწილეობას ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში აზრი არ აქვს. ისინი მმართველ პარტიას ჯერჯერობით კონკურენციას ვერ გაუწევენ. მათი რეგიონული და ადგილობრივი ორგანიზაციები სუსტია, გარდა რამდენიმე რეგიონისა (აჭარა, სამეგრელო...). მათ არც ორგანიზაციული თვალსაზრისით და არც ფინანსურად აქვთ სათანადო ბაზა. ამდენად, მათი ობსტრუქცია ერთადერთ სწორ პოზიციად გამოიყურება, მაგრამ ასეც არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს და პოლიტიკურ პროცესში მათი დაბრუნება აუცილებელია, თუ უნდათ, რომ ჰქონდეთ პოლიტიკური პერსპექტივა. კიდევ გაურკვეველია, რას უპირებს ოპოზიციას

იხ. მე-9 გვ.

ლევან გურგენიძე: ნებისმიერ დროს დავდგებით იმ დასაქმებულების გვერდით, ვისაც ჩვენი დახმარება სჭირდება

პროფკავშირი საერთო პროფესიის მქონე ადამიანთა ნებაყოფლობითი გაერთიანებაა, რომლის მიზანიც გაერთიანების წევრების შრომითი, სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი უფლებებისა და ინტერესების დაცვაა. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ის არსებობს იმისთვის, რომ დასაქმებულების ინტერესები, მათი უფლებები, ხელფასები და სამუშაო პირობები დამსაქმებლებთან მოლაპარაკებებისას დაიცვას

ჩვენი ნომრის სტუმარი აჭარის პროფესიული გაერთიანების თავმჯდომარე ***ლევან გურგენიძეა.*** *მან ამ თანამდებობაზე 2024 წლის 18 ოქტომბერს, პროფკავშირების გაერთიანების 24-ე საანგარიშო-საარჩევნო ყრილობის დელეგატების გადაწყვეტილებით, ზურაბ ცეცხლაძე ჩაანაცვლა. რა პრობლემების წინაშეა დღეს პროფკავშირები და როგორ იცავენ დასაქმებულების ინტერესებს? - ამ და მკითხველისთვის საინტერესო სხვა საკითხებზე ლევან გურგენიძე გვესაუბრება.*

- ბატონო ლევან, როგორია პროფკავშირების როლი დასაქმებულთა ყოველდღიურობაში?

- პროფკავშირები იცავს თავისი წევრების შრომის უფლებებს. ის დასაქმებულები, რომლებიც ჩვენთან არიან გაწევრიანებულები, პრაქტიკულად, პროფკავშირების ქოლგის ქვეშ არიან - მაქსიმალურად დაცულია მათი შრომითი უფლებები და ვცდილობთ დამსაქმებელთან პრობლემების მოლაპარაკებების გზით მოგვარებას. როცა წინააღმდეგობას ვაწყდებით და შეთანხმება ვერ ხერხდება, სასამართლოს მივმართავთ და ამ გზით მაინც ვაღწევთ წარმატებას. ბოლო 4 წლის განმავლობაში საქართველოსა და აჭარის პროფკავშირების გაერთიანებას სასამართლო შრომითი დავა, პრაქტიკულად, არ წაუგია, რაც შრომით კოდექსში ცვლილებამაც განაპირობა. კერძოდ, ცვლილებაა 37-ე პუნქტში, რომელიც ყველანაირი ახსნა-განმარტების გარეშე დასაქმებულის გათავისუფლებას ითვალისწინებდა.

- რა პრობლემებთან გიწევთ შეჯახება და როგორია მათი გადაჭრის გზები?

- მიუხედავად იმისა, რომ შრომის კოდექსში არის არაერთი ცვლილება, ერთი პერიოდი გაუქმებულიც კი იყო შრომის უსაფრთხოების ინსპექცია, პრაქტიკულად, ყოველდღე ხდებოდა უბედური შემთხვევები, მათგან ბევრი ფატალურად მთავრდებოდა. სამწუხაროდ, ყველაფერი აისახებოდა დასაქმებულის ჯანმრთელობასა და ცხოვრებაზე. ისინი სრულიად იგნორირებულები იყვნენ დამსაქმებლების მხრიდან, ირღვეოდა მათი შრომითი უფლებები, არ უგრძელებდნენ კონტრაქტს, ვერ სარგებლობდნენ დეკრეტული შვებულებებით და ასე შემდეგ. ბოლო დროს კანონმდებლობაში არაერთი ცვლილება შევიდა, აღდგა შრომის უსაფრთხოების ინსპექცია, ცვლილებებია შრომის კოდექსშიც. ამ საქმეში ლომის წილი პროფკავშირებს მიუძღვის, რაც ძალიან გვეამაყება. ინიციატივების 80% ჩვენი წარდგენილია მთავრობაში, შესაბამისად, მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა. მინდა, ყურადღება გავამახვილო იმაზეც, რომ შედარებით იკლო სამუშაო ადგილებზე დასახიჩრებისა და სიკვდილის შემთხვევებმა, თუმცა ამით არ ვკმაყოფილდებით, სისტემატურად ვახორციელებთ მონიტორინგს, განვსაზღვრეთ პრიორიტეტები, შერჩეულია პროფკავშირის წევრი ორგანიზაციები და ეტაპობრივად მიმდინარეობს ამ საკითხებზე ფოკუსირება.

- დაგვიკონკრეტეთ, რას ითვალისწინებს კოდექსის ცვლილება?

- კოდექსის ცვლილების შემდეგ, დასაქმებულებს აქვთ გარკვეული გარანტიები, კერძოდ, გათავისუფლების ან ნებისმიერი პოზიციის დაკარგვის შემდეგ დამსაქმებელი ვალდებულია, შრომის კოდექსიდან გამომდინარე, ახსნას, რატომ არ უგრძელებს ხელშეკრულებას და დაასაბუთოს მიზეზი.

- ხშირია ასეთი შემთხვევა?

- სამწუხაროდ, მსგავსი ფაქტები ხშირია, თუმცა იმ ორგანიზაციებში, სადაც პროფკავშირებია, პრობლემის 99% ამოწურულია.

- დამოუკიდებელ პროფკავშირებზე რას გვეტყვით? თუ აღიქვამთ თქვენი ორგანიზაციის კონკურენტად და რატომ დადგა მისი შექმნის აუცილებლობა - თქვენ ბოლომდე ვერ უმკლავდებით პრობლემებს?

- ძალიან კარგი შეკითხვაა. კანონი პროფკავშირების შექმნის შესახებ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლებას აძლევს, დააფუძნოს თავისი პროფკავშირული ორგანიზაცია, რომელიც იცავს მისი წევრების ინტერესებს და ჯდება დემოკრატიის ჩარჩოში. მას თავისი შეხედულება აქვს, ჩვენ - ჩვენი. აჭარის პროფკავშირების გაერთიანებას აქვს წესდება, სადაც მუხლობრივადაა გაწერილი, რას იცავს და რა გარანტიებს აძლევს თავის წევრებს. რა მოტივით შეიქმნა ალტერნატიული პროფკავშირები და რა უწერიათ წესდებაში, ჩემთვის უცნობია. ერთიცაა, ჩვენ მზად ვართ, ნებისმიერ ორგანიზაციასთან ვითანამშრომლოთ, ვინც დასაქმებულების შრომითი უფლების დაცვას უზრუნველყოფს.

- როგორც ვიცი, თქვენი მშობლები წლების განმავლობაში ამ ორგანიზაციის წარმომადგენლები არიან.

- პროფკავშირების რიგებში თითქმის 17 წელია, ვარ, ძალიან საინტერესო და, ამავე დროს, საპასუხისმგებლო საქმიანობაა. პროფკავშირთან ჩემი ურთიერთობა სულ სხვაგვარად დაიწყო. წლების წინ ერთ-ერთ სამშენებლო კომპანიაში რიგით მუშად ვმუშაობდი, სადაც პატარა კონფლიქტი მომივიდა საქმისმწარმოებელთან, რაც ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. ვთვლი, რომ დავიჩაგრე იმ სიტუაციაში. მივედი მამასთან, რომელიც პროფკავშირებში სამშენებლო მიმართულებას კურირებდა, შევჩივლე, რომ გავხდი უსამართლობის მსხვერპლი. თან ვუსაყვედურე, რომ სამშენებლო ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა, სხვის ინტერესებს იცავდა და ამ დროს მისი შვილი დაიჩაგრა. მაშინ მამამ მითხრა, გახდი პროფკავშირის წევრი და მოგხედავთო. ასეც მოვიქეცი, ჩავები პროფკავშირულ საქმიანობაში და... ასე მოვედი დღემდე. პროფკავშირებში მუშაობის გადაწყვეტილება ზუსტად იმ უსამართლობამ მიმაღებინა, გადავწყვიტე, დამეცვა ჯერ საკუთარი, შემდეგ კი სხვისი უფლებები. ნაბიჯ-ნაბიჯ დავიწყე პროფკავშირული ანბანის შესწავლა, ჩავერთე სემინარ-ტრენინგებში, საქართველოს პროფკავშირის გაერთიანების ღონისძიებებში, შემდეგ გავხდი ერთ-ერთი დარგობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარე, სამეურვეო ნაწილსაც ვხელმძღვანელობდი, მუშიდან დაწყებული, ყველა ეტაპი გავიარე. ვფიქრობ, ეს გზა დამეხმარება, ვიყო სამართლიანი და კვალიფიციური დახმარება გავუწიო ყველას, ვისაც ესაჭიროება.

- ბოლო დროს, ქვეყანაში მიმდინარე საპროტესტო აქციების შემდეგ, ორგანიზაციებსა თუ საჯარო უწყებებში გახშირდა დასაქმებულების გათავისუფლება. დამოუკიდებელი პროფკავშირების შექმნასაც ამით ხსნიან. თქვენც ხომ ეხმარებით ყველას, ვინც მოგმართავთ?

- ბევრ უწყებაშია შექმნილი პირველადი პროფკავშირული ორგანიზაცია, მაგრამ არის ისეთი საჯარო სამსახურები, სადაც პროფკავშირი არ ფუნქციონირებს. ჩვენს ორგანიზაციაში გაწევრიანება ნებაყოფლობითია. იმ ადამიანების დაცვას, რომლებიც არ არიან ჩვენი წევრები, პრაქტიკულად, სრულყოფილად ვერ ვახერხებთ. უფლებამოსილება არ გვაქვს, შევიდეთ და დამსაქმებელთან ვაწარმოოთ მოლაპარაკებები. თქვენ თუ ხართ ჩვენი წევრი, შესაბამისად, გვაძლევთ მანდატს, დავიცვათ თქვენი უფლებები. ვინც ნდობას გამოგვიცხადებს, მზად ვართ, ნებისმიერს დავუდგეთ გვერდით. მოსახლეობამ უნდა იცოდეს: ჩვენი წევრებისთვის სასამართლო პროცესებზე ნებისმიერი იურიდიული მომსახურება სრულიად უფასოა. თქვენი გაზეთის საშუალებითაც მინდა მივაწვდინო ხმა: მოვიდნენ, რა პრობლემის წინაშე არიან, გვითხრან და ნებისმიერს დავუდგებით გვერდით. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ჩვენგან უკმაყოფილო არავინ წასულა. იმ ორგანიზაციებში, სადაც ჩვენი უფლებები ვრცელდება, შესაძლებლობის მაქსიმუმს ვაკეთებთ და შედეგსაც ვიღებთ.

- გახშირდა თუ არა მომართვიანობა და რამდენი სასამართლო პროცესი მოიგეთ?

- ჩვენ, უპირველესად, ვცდილობთ, მოლაპარაკებების გზით მინიმუმამდე შევამციროთ სასამართლომდე საქმის მიყვანა. სამწუხაროდ, პროცესი შეიძლება წლობით გაგრძელდეს. ასეთი იყო, მაგალითად, კორპორაცია „სინოჰიდროს“ და „მაქროს ჯგუფის“ შემთხვევაში. წლების განმავლობაში გაიწელა საქმე. გვესმის იმ ადამიანებისაც, ვისაც მალე სურს პროცესის მოგება, მაგრამ, სამწუხაროდ, რიგი მიზეზების გამო, ეს ვერ ხერხდება. მინდა აღვნიშნო, რომ პროფკავშირის ბევრი არაწევრი დასაქმებული გადის ჩვენთან კონსულტაციას, რომლებსაც სურთ მოლაპარაკებების გზით, ურთიერთშეთანხმებით მოგვარდეს პრობლემა. მათ ვაკვალიანებთ, ვაცნობთ კოდექსს, ვამზადებით წერილებს, რომლებსაც შემდგომ წარუდგენენ დამსაქმებლებს და საკითხი ხშირად დადებითად წყდება. ამჟამად ჩვენი პროფკავშირის ინტერესებს ახალი იურისტი იცავს. ის ახალგაზრდა კადრია და მინდა მივულოცო ამ დღეებში მოგებული პირველი სასამართლო პროცესი. ჩვენი ძალისხმევით დაკმაყოფილდა მოთხოვნა და ქალბატონი აღდგენილია სამსახურში - ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში. ვფიქრობთ, დამსაქმებელმაც გამოიჩინა კეთილგონიერება და თავის დროზე დააკმაყოფილა ჩვენი მოთხოვნა.

- პროფკავშირის მიმართ ნდობა თუ გაიზარდა და იმატა თუ არა ორგანიზაციაში გაწევრიანების მსურველთა რაოდენობამ?

- შეიძლება, ტრაბახშიც ჩამეთვალოს, მაგრამ რაც ამ თანამდებობაზე დავინიშნე, სტატისტიკამ საგრძნობლად მოიმატა და 250 წევრით გაიზარდა ჩვენი ორგანიზაცია. ამ მიმართულებით მუშაობას მომავალშიც გავაგრძელებთ. ვცდილობთ, მოსახლეობას მეტი ინფორმაცია მივაწოდოთ ჩვენს საქმიანობაზე. პიარის მიმართულებით ვგეგმავთ არაერთ ღონისძიებას, სადაც ქალაქის სხვადასხვა ლოკაციაზე, ღია სივრცეში გვექნება საინფორმაციო შეხვედრები. დღეს ძალიან დიდი როლი ენიჭება სოციალურ ქსელს და ამ მიმართულებითაც ვაქტიურობთ. ერთი სიტყვით, ვცდილობთ, დასაქმებულებმა იცოდნენ, რომ არსებობს ასეთი ორგანიზაცია - პროფკავშირები, რომელიც სრულყოფილად დაიცავს მათ უფლებებს. ჩვენი დახმარებით უფრო მეტი უნდა გაიგონ თავიანთი უფლებების შესახებ და შესაბამისად გამოიყენონ ეს ცოდნა.

- პროფკავშირულ ორგანიზაციებში ახალი კადრების აღზრდაზე თუ მუშაობთ? როგორც ვიცი, მათ უნდა ჰქონდეთ შესაბამისი განათლება.

- პროფკავშირების ნომერ პირველი ამოცანაა ახალი კადრების მოზიდვა და ორგანიზაციის გაახალგაზრდავება. ამ მიმართულებით ძალიან შრომატევადი მუშაობაა გასაწევი. დასამალი არაა, რომ პროფკავშირებს არ აქვს ისეთი დიდი შემოსავალი, რომ კადრები მოიზიდოს. მარტო ენთუზიაზმზეც ვეღარ ვიქნებით, რაც სერიოზულად გვხევს უკან. ძალებს არ ვზოგავთ, რომ მეტი ფინანსები გამოუჩნდეს პროფკავშირებს. თუ მეტი წევრი გვეყოლება და საწევროს შემოსავალიც გაიზრდება, ეს საქმეს კიდევ უფრო გაგვიიოლებს. მეტი პიარია საჭირო და, შრომის უსაფრთხოების თვალსაზრისით, ტრენინგების ჩატარება. დასაქმებულებს უნდა გავაცნოთ შრომის კოდექსის ცვლილებები. უნდა იცოდნენ, რა არის კოლექტიური ხელშეკრულება და მისი მნიშვნელობა. უამრავი თემაა გასავლელი და შესაბამისად, სამუშაოც ბევრია. ამ ეტაპზე ორი ახალი კადრი მოვიზიდეთ და გავაახლეთ ორგანიზაცია. ესენია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და გაერთიანების იურისტი, ორივე ახალგაზრდა კადრია და აქტიურად არიან ჩართულნი ორგანიზაციის საქმიანობაში. დიდი იმედი მაქვს, რომ ისინი გაამართლებენ ჩვენს იმედებს. ერთიცაა, პროფკავშირში ერთი და ორი წელი არაფერია, გამოცდილება მოაქვს უფრო დიდხნიან დაუღალავ შრომას, წლების განმავლობაში უნდა დაიხარჯო ხალხის სამსახურში და მათი უფლებებისთვის ბრძოლაში. სწორედ წლებს მოაქვს გამოცდილება, პროფესიონალზმი და ნდობა.

> ***„ ჩვენ, უპირველესად, ვცდილობთ, მოლაპარაკებების გზით მინიმუმამდე შევამციროთ სასამართლომდე საქმის მიყვანა. სამწუხაროდ, პროცესი შეიძლება წლობით გაგრძელდეს. ასეთი იყო, მაგალითად, კორპორაცია „სინოჰიდროს“ და „მაქროს ჯგუფის“ შემთხვევაში. წლების განმავლობაში გაიწელა საქმე. გვესმის იმ ადამიანებისაც, ვისაც მალე სურს პროცესის მოგება, მაგრამ, სამწუხაროდ, რიგი მიზეზების გამო, ეს ვერ ხერხდება***

- ვფიქრობ, ჟურნალისტებისთვისაც არ იქნება ურიგო ტრენინგების ჩატარება, სადაც უკეთ გააცნობთ დასაქმებულების შრომით უფლებებს და კოდექსს, ასევე, როგორ უნდა გაშუქდეს სწორად მსგავსი თემები. შესაბამისად, უფრო კვალიფიციურად შეგძლებთ მოსახლეობის ინტერესების სამსჯავროზე გამოტანას.

- გეთანხმებით, ჟურნალისტების როლი დიდია ამ საქმეში. მაისში დარგობრივი ორგანიზაციებისთვის ვგეგმავთ სემინარ-ტრენინგის ჩატარებას შრომის უსაფრთხოების თემაზე. მართალია, მსმენელთა რაოდენობა შეზღუდულია, მაგრამ ჩვენი კარები ღიაა ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, შეუძლიათ, დაესწრონ და მოისმინონ მათთვის საჭირო ინფორმაცია. ამის შესახებ სოციალური ქსელით ვაცნობებთ. სოციალურმა ქსელმა ეს ურთიერთობა უფრო ხელმისაწვდომი გახადა ყველასთვის, რაც, შესაბამისად, ჩვენს მუშაობაზეც დადებითად აისახა. ერთს დავამატებ: მაის-ივნისში ბათუმში, ქობულეთში, ხულოსა და ქედაში, იმ გამგეობებში, სადაც ფუნქციონირებს ჩვენი პროფკავშირები, დაგეგმილია სემინარ-ტრენინგების ჩატარება საჯარო სამსახურში კანონმდებლობის ცვლილებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, მათაც მიეწოდებათ სრულყოფილი ინფორმაცია სიახლეების შესახებ, დაიცავენ თავიანთ უფლებებს.

- რას ისურვებდით?

- ვინაიდან აჭარის პროფესიული კავშირების გაერთიანების ხელმძღვანელი ვარ, უპირველესად მინდა, ყველაფერი გავაკეთო ამ ორგანიზაციის პრესტიჟის და ნდობის ასამაღლებლად. ამისთვის უნდა ვიყოთ მაქსიმალურად გამჭვირვალე და ღია საზოგადოებისთვის, ნებისმიერ დროს დავდგეთ იმ დასაქმებულების გვერდით, ვისაც ჩვენი დახმარება ესაჭიროება. სწორედ ასეთი მიდგომით და ერთიანი ძალისხმევით მივიღებთ შედეგს.

მანანა ტაკიძე

ფაშიზმზე გამარჯვებიდან 80 წელი გავიდა

1945 წლის 9 მაისი კაცობრიობის ისტორიაში ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღედ ჩაიწერა. 80 წელი გავიდა იმ დღიდან, როცა საბჭოთა ჯარისკაცებმა ადოლფ ჰიტლერის არმია მისსავე ბუნაგში გაანადგურეს. ეს იყო ყველაზე მასშტაბური, მსოფლიოსთვის დიდი მსხვერპლისა და მატერიალური ზარალის მომტანი ომი

ყოფილი საბჭოთა კავშირის დანარჩენი რესპუბლიკების მსგავსად, ამ ომში საქართველოც იყო ჩართული. საქართველო, ბელორუსის შემდეგ, მეორე ქვეყანაა, რომელმაც ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით ყველაზე დიდი მსხვერპლი გაიღო. ომის დაწყებიდან დასასრულამდე სხვადასხვა ფრონტზე 700 ათასზე მეტი საქართველოს მოქალაქე იბრძოდა, რომელთაგან თითქმის ნახევარი ცოცხალი აღარ დაბრუნებულა. ქერჩის მისადგომებთან, სტალინგრადის, კურსკის ბრძოლებსა და ბერლინის შტურმისას არაერთი ქართველი დაიღუპა. ისიც საგულისხმოა, რომ რაიხსტაგზე გამარჯვების დროშა, რუს მიხაილ ეგოროვთან ერთად, ქართველმა მელიტონ ქანთარიამ ააფრიალა.

ფაშისტებმა საქართველოსაც შემოუტიეს, მაგრამ ფეხი ვერ მოიკიდეს. ამ ომის მთავარსარდალი იოსებ სტალინი იყო. ფაშისტებს, პირველ რიგში, მისი სამშობლოს დამონება და ბაქოს ნავთობის ხელში ჩაგდება სურდათ. მათ „ბარბაროსას“ გეგმის ნაწილი უკვე აღსრულებულად ჩათვალეს, როცა საქართველოს ტერიტორიაზე ფეხი შემოდგეს. მთავარსარდლის გააზრებული და გათვლილი მოქმედებით, ქართველების უანგარო თავდადებით, სვანეთში მოქმედი საზოგადოება „მონადირის“ წევრების ოპერატიული და საზრიანი ჩართულობით, ნახარისა და ქლუხორის უღელტეხილებიდან შემოსული ცისფერჩაფხუტიანები რამდენიმე დღის განმავლობაში კავკასიონის ქედს გადაღმა გადაყარეს. ამ ფაქტს ისტორიკოსები ასე იხსენებენ: „კრემლში სტალინი კავკასიონის რუკას დაჰყურებდა და მისი გადარჩენის სტრატეგიას ამუშავებდა. მაგიდასთან სულ ხუთი კაცი იჯდა: სტალინი, მოლოტოვი, ბერია, ვოროშილოვი და მალენკოვი. სტალინმა წარმოთქვა: „მდგომარეობა კავკასიაში სერიოზულია, თითქმის კატასტროფული. დანაშაულებრივი გულგრილობის შედეგად ფრონტის ხელმძღვანელობამ და ქვედანაყოფებმა საშუალება მისცეს ჰიტლერელებს, დაეკავებინათ ცენტრალური კავკასიონის გარკვეული ნაწილი, რითაც საშუალება მიეცა ჰიტლერს, მთელი მსოფლიო გააყრუოს კავკასიონის დაძლევაზე ტრაბახით. ეს შორს მიმავალი პოლიტიკა და იდეოლოგიაა, მათ სურთ, დაარწმუნონ თურქეთი, რომ კავკასია დაპყრობილია, ჩვენს საზღვრებთან მომდგარი მილიონიანი თურქული არმია საქართველოში შემოიჭრას და დაიკავოს ამიერკავკასია. შევინარჩუნებთ თუ არა კავკასიონს, ამას ომის მიმდინარეობა დაგვანახებს. კავკასიონის უღელტეხილების დაცვას უშუალოდ თქვენ უხელმძღვანელებთ, ამხანაგო ლავრენტი. შეკრიბეთ ოცკაციანი ჯგუფი, რომელიც გამოგყვებათ. ჯგუფის თითოეული წევრი მე შემახვედრეთ. გისურვებთ წარმატებებს!“.

გერმანელებისთვის მოულოდნელად, კავკასიონზე სულ სხვა დილა თენდებოდა. ქართველ მებრძოლთა ბრძოლის ყიჟინა აყრუებდა ჭიუხებს, მათ უკვე შეიტყვეს მაშველი ძალისა და კავკასიის დასაცავად ბერიას ჩამოსვლის ამბავი.

დივიზიის მეთაური გიორგი ყურაშვილი ყვებოდა, რომ ბერია სვანი მონადირეებისა და ალპინისტების თანხლებით, მონადირის ტანსაცმელში გამოწყობილი, თითქმის ყველა ნაწილში მივიდა და თითოეული ბატალიონი დაათვალიერა. დაწვრილებით შეისწავლა ფრონტის ყველა უბნის საბრძოლო მზადყოფნა და მომარაგება როგორც საბრძოლო მასალებით, ასევე სურსათით. ყველა წვრილმანის და მებრძოლთა სულიერი განწყობის ცოდნა ბერიას აძლევდა საშუალებას, დაესაბუთებინა, თავისი დავალების სისწორე.

მთელი სვანეთის მოსახლეობა აღუდგა მტერს წინ. მოხუცები, ქალები და ბავშვები ხარებით, ცხენებითა და სახედრებით ჭიუხებში საბრძოლო მასალასა და სურსათს აწვდიდნენ გმირ სვან მებრძოლებს. სვანეთში გუგუნებდა სიმღერა „დარიალს კარი შეაბი, კავკასიონი შეჰკარი“.

სატელეფონო საუბარში სტალინმა უსაყვედურა ბერიას: „როდემდე უნდა ფრიალებდეს იალბუზზე გერმანული დროშა. გადაეცით სვან ალპინისტებს, რომ სხვა ვერავინ ჩამოაგდებს მას“. ამ საუბრიდან რამდენიმე დღის შემდეგ, 1943 წლის 9 თებერვალს, კავკასიონის უმაღლეს მწვერვალს, ყინულის გიგანტურ სამყაროს ქართველმა ალპინისტებმა გაბრიელ და ბექნუ ხერგიანებმა შეუტიეს. ყინულთან რამდენიმესაათიანი გააფთრებული ბრძოლის შემდეგ ბექნუ ხერგიანი ნახტომით მისწვდა დროშას, ჯერ ჩამოხია, შემდეგ კი ტარი ძირში გადატეხა.

იხ. მე-9 გვ.

აჭარაში მეორე მსოფლიო ომის მხოლოდ ერთი მონაწილე შემორჩა – ქეთევან ლორიას 14 მაისს 102 წელი შეუსრულდება

ამ ომის დასრულებიდან რვა ათეული წლის შემდეგაც იგი კაცობრიობის ისტორიაში სისასტიკითა და მასშტაბებით, ყველაზე დიდ ომად რჩება, რადგან 50 მილიონზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ხუთჯერ მეტი, ვიდრე პირველი მსოფლიო ომის დროს

როგორც არ უნდა ვაკრიტიკოთ საბჭოთა კავშირი, სწორედ მან შეასრულა უდიდესი როლი ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. მისმა შეიარაღებულმა ძალებმა მოახერხეს ის, რაც დასავლეთის ქვეყნების ვერც ერთმა არმიამ ვერ შეძლო, სწორედ საბჭოთა ჯარებმა გაანადგურა ფაშიზმი საბოლოოდ.

ეს სასტიკი ომი საბჭოთა კავშირში შემავალ თითქმის ყველა რესპუბლიკას შეეხო და რა თქმა უნდა, საქართველოსაც.

ამ პატარა ქვეყნიდან ფრონტზე 700 ათას კაცზე მეტი წავიდა, ეს იყო რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის მეხუთედი. მათგან ფრონტზე 300 ათასზე მეტი დაეცა.

ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი წვლილი შეიტანა აჭარამ, საიდანაც ფრონტზე 24 ათასზე მეტი მებრძოლი წავიდა, აქედან 12 ათასი ორდენითა და მედლით დაჯილდოვდა, 12 საბჭოთა კავშირის გმირი გახდა. მათ შორის პირველთაგანი მახინჯაურელი ისრაფილ ჯინჭარაძე იყო, რომელმაც უშიშარი მფრინავის სახელი დატოვა. ომის დროს მან 92 საბრძოლო გაფრენა მოახდინა, რის შედეგად მტრის 82 ავტომანქანა, 27 ტანკი, 6 თვითმფრინავი (აეროდრომზე), ერთი თვითმფრინავი საჰაერო ბრძოლებში, გაანადგურა... მან მოკლა, დაჭრა და გაფანტა მოწინააღმდეგის 880-მდე ჯარისკაცი. დაჯილდოებული იყო „წითელი ვარსკვლავისა“ და „სამამულო ომის პირველი ხარისხის“ ორდენებით. მიღებული ჰქონდა არაერთი მადლობა, მათ შორის, ოთხი - უმაღლესი მთავარსარდლის. სიკვდილის შემდეგ (1944 წლის 4 თებერვალს) მიენიჭა მთავრობის უმაღლესი ჯილდო - საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

მის გარდა, საბჭოთა კავშირის გმირის წოდება აჭარიდან მიენიჭათ: ალექსანდრე სულაბერიძეს, ალექსანდრე გორბაჩევსკის, მიხეილ გორბაჩოვს, კონსტანტინ ოლშანსკის, ბორის ლიტვინჩუკს, დავით თავაძეს, ლავრენტი ბუაევს, გარი მერკვილაძეს, გიორგი ინასარიძეს, ვალენტინ შაპიროს, ისაი კაზინეცს...

იყო თუ არა ომი საქართველოში?

როგორც ეგარსლან ლომაძის ავტორობით გამოცემულ წიგნშია აღნიშნული („ფრონტული ამბების სამყაროში“) - ქართველი ხალხი ერთობლივად და შეგნებულად ომის დასაწყისშივე ჩაება გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში, გამოიჩინა საოცარი სიმტკიცე, ერთიანობა, უმაგალითო გმირობა, ერისათვის ისტორიულად დამახასიათებელი მხედრული ნიჭიერება და შემართება, რითაც დიდი წვლილი შეიტანა ფაშიზმის განადგურებასა და მსოფლიოში მშვიდობის დამყარებაში.

საქართველოს მშრომელებმა უზარმაზარი წვლილი შეიტანეს დიდ გამარჯვებაში, ვაჟკაცურად იტანდნენ მრავალ სიძნელეს, შეუფერხებლად ამარაგებდნენ ფრონტზე მყოფებს სხვადასხვა აუცილებელი მასალით, იარაღით, საზრდოთი და სამედიცინო საშუალებებით.

ომის პერიოდში ძალიან საპასუხისმგებლო იყო დაჭრილი მეომრების, ევაკუირებული მოსახლეობის, მტრის მიერ დაზარალებული და დროებით ოკუპირებული რაიონების დახმარება. ევაკუირებული საწარმოებისა და მოსახლეობის მიღების, დაბინავების, მათი საქმიანობის სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნისა და თავდაცვის სამსახურში ჩაყენების, არმიის დაჭრილ და ავადმყოფ მებრძოლთა მკურნალობის საქმეში დიდი როლი შეასრულეს ამიერკავკასიის რესპუბლიკებმა, მათ შორის საქართველომ. ბათუმში შეიქმნა ევაკოპუნქტი, სადაც სამედიცინო პერსონალის სადღეღამისო მორიგეობა დაწესდა. აქ ერთდროულად 2000 დაჭრილ მეომარსა და ავადმყოფს იღებდნენ, სწორედ აქედან ხდებოდა მათი გადანაწილება ბინებსა და ევაკჰოსპიტლებში. 1941-1945 წლებში ბათუმსა და აჭარის რაიონულ ცენტრებში სისხლის გადასხმის სპეციალური ცენტრები შეიქმნა. ომის დაწყებიდან ექვსი თვის განმავლობაში მარტო ბათუმის სისხლის გადასხმის სადგურში დონორთა რიცხვმა 1500 კაცს გადააჭარბა. ომის პერიოდში 2000 ლიტრი სისხლი გაიღეს. სხვაც ბევრი კეთდებოდა ფრონტისთვის და ფრონტელებისთვის. ასე რომ, აჭარის მოსახლეობამ ომის მეტად მძიმე პერიოდში ერთსულოვანი დარაზმულობით დიდი დახმარება აღმოუჩინა ომში დაჭრილ და დაავადებულ მეომრებს, საქართველოში ევაკუირებულ მოსახლეობას, რამაც დიდი წვლილი შეიტანა ფაშიზმზე გამარჯვებაში...

მართალია, მეორე მსოფლიო ომი ისტორიის კუთვნილებაა და ის ისეთი აქტუალური აღარაა, როგორც წინა წლებში იყო, მაგრამ მისი შედეგები, გაკვეთილები, წარმოშობის მიზეზები ყოველთვის ანგარიშგასაწევია.

* * *

როგორც აჭარის ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა გაერთიანება „ომგადახდილის“ გამგეობის თავმჯდომარემ, პოლიციის თადარიგის პოლკოვნიკმა დავით ჯიჯავაძემ გვითხრა, აჭარაში მხოლოდ ერთი ომის ვეტერანი შემორჩა - ქეთევან ლორია. ორი დღის წინ ქალბატონ ქეთოს სახლში ვეწვიეთ. მის ასაკში მხნედ გამოიყურება, თუმცა მეტი წილი წოლით მდგომარეობაშია. მაინც წამოდგა და შეძლებისდაგვარად გაიხსენა მეორე მსოფლიო ომის დროინდელი დღეები. ფრონტზე 1941 წლის 22 ივნისს გაიწვიეს. 17 წლის იყო, პირველი კურსის სტუდენტი. წარმოშობით სამტრედიის რაიონის სოფელ ნიგორძღუადანაა, ფრონტზეც აქედან გაიწვიეს. ის მეკავშირე იყო, მტრის თვითმფრინავებს ადევნებდა თვალს. უნდა ამოეცნოთ მტრის „ხენკელ111“ და მათ შესახებ ცნობები უნდა გადაეცათ - საით მიფრინავდა, რომელი კურსით. ოდესიდან რუმინეთის ქალაქ ტეკუჩიამდე გზა ფეხით გაიარეს. ეს იყო საშინელი დღეები, არც წყალი ჰქონდათ და არც საკვები. ომი რომ დასრულდა, სამშობლოში სამი თვის შემდეგ დაბრუნდა. ისევ გაგრძელა სწავლა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში. ფილოლოგიური ფაკულტეტი დაამთავრა და სოფელ მეჯინისწყლის სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად დაინიშნა, პარალელურად, სასწავლო ნაწილის გამგეც გახლდათ. ამ სკოლაში 56 წელი იმსახურა, მიიღო არაერთი ჯილდო. თავს როგორ გრძნობთ-მეთქი როცა ვკითხე, მიპასუხა: „ამ ხნის ქალი ვარ, ასი წელი უკან მოვიტოვე, სამდურავი როგორ მეთქმის. შვილი - გოჩა ლორია, რძალი - სოფიკო გოგეშვილი, შვილიშვილები გიორგი და ნიკოლოზი პატივისცემით მეპყრობიან“.

- ომის დასრულება სად გაიგეთ?

- რუმინეთში, ქალაქ ტეკუმაშინში, ეს იყო დიდი სიხარული, ბევრი ტიროდა, თვალცრემლიანი ვეხვეოდით ერთმანეთს, ვეფერებოდით. ვისაც ეს ომი არ გამოუცდია, ის ვერ მიხვდება, რას ნიშნავდა ომის დამთავრება ჩვენთვის. ამიტომაა ჩემთვის 9 მაისი გამორჩეული დღე.

უკვე რამდენიმე წელია ომის მონაწილეებს ფულად საჩუქარს გადასცემენ საქართველოს მთავრობა, ბათუმის მერია და ბათუმის ნავთობტერმინალი. ამ ჯილდოს ქალბატონი ქეთოც მიიღებს. მასთან ერთად ვულოცავთ ყველას, ვისაც ფაშიზმზე გამარჯვების დღე ეზეიმება.

მანანა ძიძიშვილი

საათობით სკებში შემავალ, მტვრით დატვირთულ ყვითელჩექმება ფუტკრებზე...

ფუტკარი ბუნებაში ერთ-ერთი ყველაზე შრომისმოყვარე არსებაა, რომლის საქმიანობაც არა მხოლოდ ეკოსისტემის ბალანსისთვის, არამედ ადამიანის სასიცოცხლო პროცესებისთვისაც მნიშვნელოვანია. განსაკუთრებით ფასეულია თაფლი - ბუნებრივი სურსათი, რომელიც მდიდარია ვიტამინებითა და მინერალებით და მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს როგორც საკვები, ისე სამკურნალო თვალსაზრისით. სანამ იგი ჩვენს სუფრაზე მოხვდება, რთულ და შრომატევად პროცესებს გადის. ჩვენი სტუმარია ნიჭიერი, ახალგაზრდა მეფუტკრე ***გიორგი ჩხაიძე****, რომლისგანაც გავიგებთ, როგორ მოიპოვებენ თაფლს, რა გამოწვევებია ამ სფეროში და რატომ არის ფუტკართან ურთიერთობა უნიკალური გამოცდილება*

- გიორგი, როგორ დაიწყეთ მეფუტკრეობა და რა იყო თქვენი მთავარი მოტივაცია?

- მეფუტკრეობა ჩვენს ოჯახში ტრადიციაა და ბავშვობიდანვე ახლოს ვიყავი ამ სფეროსთან. მოტივაცია იყო ხარისხიანი ნატურალური თაფლის წარმოება. მამაჩემმა შემასწავლა ეს საქმე, ვიცოდი როგორ ცხოვრობდა ფუტკრის ოჯახი. მაშინ 49 ოჯახი ჰყავდა და პლუს 20 მცირე პაკეტი (4-5 ჩარჩოზე მსხდომი ფუტკრები, რომლებიც იმ წელს სათაფლე მომთაბარეობისთვის არ არიან მზად). მამშვიდებდა საათობით სკებში შემავალი, მტვრით დატვირთული ყვითელჩექმება ფუტკრების ცქერა.

- რამდენი ფუტკრის ოჯახი გყავთ და სად არის განთავსებული თქვენი სკები?

- ამ ეტაპზე ოზურგეთში, საკარმიდამო ნაკვეთზე მყავს ფუტკრის 20 ოჯახი. იქ არსებული რესურსი სრულად აკმაყოფილებს ფუტკრების პროდუქტიულობას.

- რა არის ყველაზე რთული და ყველაზე სასიამოვნო მეფუტკრეობაში?

- რთულია, როცა დაავადებები და უამინდობა ხელს უშლის ფუტკრის განვითარებას. მით უმეტეს, წელს ძალიან რთულად დაიწყო

შენებელი ფიჭების მიწოდება, რათა თავიდან ავიცილოთ დაავადებული, უხარისხო ფუტკრების წარმოშობა. როდესაც ტემპერატურა სტაბილურდება, არ არის ყინვები და სიცივე მოსალოდნელი, მთავარი ღალიანობის დაწყებამდე 55 დღით ადრე და 30 დღით გვიან, შეგვიძლია, ფუტკრების მასობრივად გამრავლების მიზნით, დედა ფუტკრის სტიმულირებისთვის, ყოველ მეორე დღეს ფუტკრებს ერთი-ერთზე დამზადებული შაქრის სიროფი მივწოდოთ (100-200 გრამის ოდენობით). გაზაფხულსა და შემოდგომაზე რეკომენდებულია სკების ირგვლივ ნიადაგის გაფხვიერება (შებარვა), რაც ხელს უწყობს სანიტარიული პირობების გაუმჯობესებას. სეზონური ფუტკრის დაღუპვის, ბუნებრივ პროცესს, კერძოდ, ზამთარში გადარჩენილი ფუტკრების - გაზაფხულზე, ხოლო ზაფხულში აქტიურად მომუშავე ფუტკრების შემოდგომაზე დაღუპვას შეს-

> ***„ ქართულ თაფლს მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვს საერთაშორისო ბაზარზე, რისი საფუძველიც არის ქვეყნის სუფთა გარემო და ბიომრავალფეროვნება, თუმცა ბოლო წლებში ფუტკრების დაავადებების გავრცელებამ სერიოზული გავლენა მოახდინა დარგზე. ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა ანტიბიოტიკების არასათანადო გამოყენება, რაც იწვევს ნარჩენების არსებობას თაფლში და ფუტკრის სხვა პროდუქტებში***

გაზაფხული. ღალიანობის დროს წვიმა და ტემპერატურის ვარდნაა. სასიამოვნოა, როცა საფუტკრეში ნექტრის სუნი ტრიალებს, ფუტკრები აქტიურად შრომობენ, სრულად ავსებენ და ბეჭდავენ თაფლიან ჩარჩოებს.

- როგორია თქვენი ყოველდღიურობა ფუტკრებთან მუშაობისას?

- ვათვალიერებ ფუტკრის ოჯახებს ზედაპირულადაც და ასევე, თითოეულ ჩარჩოსაც, დედა ფუტკრის კვერცხმდებლობის უნარიანობას განვსაზღვრავ, არსებულ მდგომარეობას ვსწავლობ, თითოეული ოჯახის ისტორიას ვადევნებ თვალს და ა.შ.

- რას ნიშნავს თქვენთვის ბუნებასთან ამგვარი მჭიდრო ურთიერთობა?

- ვთვლი, რომ ჩემი შრომა და ყოველდღიურობა ბუნების ნაწილია, ხარისხიანი და უხვი მოსავლის მიღებაში დიდი წვლილი მიუძღვის ფუტკარს.

- როგორ იცავთ ფუტკრებს დაავადებებისა და მავნებლებისგან?

- ფუტკრის მოვლისა და უსაფრთხოების ძირითადი და მნიშვნელოვანი ნაბიჯებია: აუცილებელია ნაზამთრალი ტილოს ბალიშის, ან პოლიეთილენის სათბუნებლის შეცვლა, რადგან ზამთრის პერიოდში დაგროვებული ნესტი და გარემოს მიკროკლიმატური ცვლილებები საფუტკრეში არასასურველ პირობებს ქმნის. ასევე, ძველი, გაშავებული ჩარჩოების ახალი ასაშენებელი ჩარჩოებით ჩანაცვლება. ზამთრის პირობებში ჩარჩოები ხშირად ზიანდება, ამიტომ, ძველი ჩარჩოების ამოღება და მათი ანტისეპტიკით დამუშავება უნდა მოხდეს, რათა თავიდან ავიცილოთ ბაქტერიების, ან სხვა მავნებლების გავრცელება. საჭიროა ბუკების გაუმჯობესება და გაწმენდა. ასეთი პროცესი ხელს უწყობს ფუტკრების უკეთეს განვითარებას და გადამტანი დაავადებების შემცირებას. საჭიროა საწყურებლის მოწყობა საფუტკრეში ვერცხლის იონებით. სასმელი წყლის დეზინფექციისთვის მნიშვნელოვანია ვერცხლის იონების გამოყენება. ეს ხელს უწყობს მავნე ბაქტერიების წინააღმდეგ ბრძოლას და სასარგებლო მიკროორგანიზმების განვითარებას. როგორც კი ფუტკრები ბოლოს წინა ჩარჩოს დაფარავს დაიწყებენ, მათ დამატებითი სივრცე და ჩარჩოები უნდა მივაწოდოთ. აუცილებელია ასაძლოა თან ახლდეს პათოგენური მიკროორგანიზმების დაგროვება, რაც დაავადების კერების განვითარებას უწყობს ხელს. ამ რისკის მინიმიზაციისთვის მიზანშეწონილია სკების გარშემო ანტისეპტიკური საშუალებების შესხურება, ხოლო მიმდებარე ტერიტორიის დამუშავება ღია ალით (ლამპის ალით), რაც უზრუნველყოფს გარემოს დეზინფექციას. საფუტკრე შემოღობილი უნდა იყოს, რათა თავიდან ავიცილოთ დაავადებების გავრცელება, რაც შესაძლოა, პირუტყვისგან მოხდეს. ნარჩენების გასაწმენდად, საჭიროების შემთხვევაში, ყოველი ინსტრუმენტი უნდა დამუშავდეს ანტისეპტიკით (იოზეფი, იოდის მარილი). ასევე, დამცავი კომბინეზონი უნდა დამუშავდეს ქლორით. ხელთათმანების გამოყენება არ არის რეკომენდებული, რადგან ერთი დაავადებული სკიდან სხვა სკებზე დაავადების გავრცელებაა შესაძლებელი. რაც შეეხება აკარიციდებისა და სხვა პრეპარატების გამოყენებას ფუტკრის დაავადებების პროფილაქტიკისთვის, ეს ინდივიდუალურ მიდგომას საჭიროებს. მკურნალობა უნდა განხორციელდეს მონიტორინგის მონაცემებზე დაყრდნობით, გარემო პირობებისა და საფუტკრის გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით. პრეპარატის გამოყენებამდე რეკომენდებულია მისი ეფექტიანობის წინასწარი გამოცდა ცალკეულ ფუტკრის ოჯახებზე. მხოლოდ დადებითი შედეგების მიღების შემდეგაა შესაძლებელი მისი ფართო სპექტრით გამოყენება მთელ საფუტკრეში, შესაბამისი ანოტაციის დაცვით და ბიოუსაფრთხოების სრული რეგულაციების გათვალისწინებით.

- როგორია ფუტკრების მოვლის სეზონური ციკლი და რომელი პერიოდი ითვლება ყველაზე დატვირთულად?

- გაზაფხულზე იწყება აქტიური მუშაობა - ოჯახის გაძლიერება, სკების მომზადება და თაფლის სეზონის დაწყება. ყველაზე დატვირთულია მაის-ივნისი, როცა კარგი თაფლის მოსავალი უნდა უზრუნველყო.

- რა განსხვავებაა სხვადასხვა სახეობის თაფლს შორის და როგორ წყვეტთ, როდისაა თაფლი ასაღები?

- თაფლი განსხვავდება ფერით, გემოთი და არომატით. მაგალითად, აკაციის თაფლი არის მსუბუქი და გამჭვირვალე, ხოლო წაბლის - უფრო მუქი და მწარე. თაფლი უნდა აიღო მაშინ, როცა ფუტკრები აშენებულ ჩარჩოში ნექტარს გადაამუშავებენ და ფიჭას ცვილით მობეჭდავენ - ეს სიმწიფის ნიშანია.

- რას წარმოადგენს ბიოთაფლი და როგორ უნდა მივიღოთ იგი?

- ბიოთაფლის წარმოება ბუნებრივ პირობებში ფუტკრის მიერ ბუნებრივად დამზადებულ ცვილს ითვალისწინებს. არ გამოიყენება ადამიანის მიერ შექმნილი ხელოვნური ფიჭა. ფუტკარი ბუნებრივად აშენებს სანთელს. ჩვენ, სტაციონარულ საფუტკრეში იმისთვის, რომ ფუტკრის ვეგეტაცია დავაჩქაროთ, მთავარი ღალიანობა უფრო სწრაფად ავიღოთ და ფუტკრები დაავადებებისგან დავიცვათ, მათ ხელოვნური ფიჭებით ვეხმარებით. ამ პერიოდში დაავადებების თავიდან ასაცილებლად ვიყენებთ როგორც ქიმიურ, ასევე ბუნებრივ ბალახოვან მცენარეებს. ბიოთაფლის წარმოების დროს კი არც ბალახოვანი და არც ქიმიური პრეპარატების გამოყენება არ ხდება. ბალახოვანი მცენარეებიც შეიძლება შეიცავდეს ადამიანისთვის საშიშ ნივთიერებებს, თუმცა ისინი ბევრად ნაკლებად საზიანოა, ვიდრე ქიმიური პრეპარატები. ნატურალურ, ბიოსაფუტკრეში დაუშვებელია ამ საშუალებების გამოყენება.

- როგორია ჯარა (ტრადიციული ქართული ფუტკრის სკა) საფუტკრის დამახასიათებელი თვისებები?

- სხვათა შორის, მომრავლდა ჯარა საფუტკრეები, თუმცა თითოეული მეფუტკრე მათთან დაკავშირებულ წესებს არღვევს. ჯარას აწვდიან ხელოვნურად აშენებულ ერთ მეოთხედ ფიჭას, ფუტკრები ასრულებენ მას და ასხამენ თაფლს. შემდეგ ფიჭიანი თაფლი გადის ბაზარზე, თუმცა აქ არ არის მითითებული, მასში რამდენი პროცენტია ხელოვნური ცვილი. ასეთი თაფლი აღარ არის ბიო, რადგან მასში შესაძლოა იყოს ქიმიური ნივთიერებები, როგორებიცაა პარაფინი და წინამორბედებისგან შემავალი მავნე ნივთიერებები. ასევე, სტანდარტულ საფუტკრეებში ფუტკრები მკურნალობას გადიან, რაც არღვევს ბიოთაფლის ხარისხს. მეორე ჯარა საფუტკრე არის მთლიანად ფუტკრის მასიური ბუდე, რომელსაც არ გააჩნია საკუჭნაო. თუ ჩვენ გავუკეთებთ ზემოთ ნახსენებ პრეპარატებს, როგორებიცაა ტკიპების პრეპარატი აკარიციდი, რაც ქიმიურია (ბიოლოგიური აკარიციდი არ არსებობს არც საქართველოში, არც მსოფლიო ბაზარზე), ამ შემთხვევაში ბიოთაფლის ხარისხი დაირღვევა. დაავადებების თავიდან ასაცილებლად გამოიყენება, ასევე, მრავალი სახის ანტიბიოტიკი, რომლებიც როგორც თაფლში, ასევე ფუტკრის პროდუქტებში შედის და ადამიანისთვის საშიშროებას წარმოადგენს. წამლის გამოყენების გარეშე ჯარა საფუტკრე შეუძლებელია. თუ მეფუტკრე არ გამოიყენებს პრეპარატებს, შემოდგომიდან გაზაფხულამდე ჯარაში მოთავსებული ფუტკრები დაიღუპებიან შემდეგი დაავადებებით: ნიზემატოზი, ტკიპა, ტრიპილა, სეზონური და ამერიკული სიდამპლე და სხვა. ეს დიდ საშიშროებას წარმოადგენს და საფრთხეს უქმნის სხვა სტაციონარულ მრავალრიცხოვან საფუტკრეს, რადგან დაავადებები ვრცელდება და საფუტკრეების განადგურებას იწვევს.

- რა უნდა იცოდეს მეფუტკრემ და როგორ ვაწარმოოთ ნატურალური ბიოთაფლი ჯარა საფუტკრეში წესების დაცვით?

- ჯარას ბუკი მზადდება თავისი მცირე ჩარჩოებით. სანამ მთავარი ღალიანობა დაიწყება, ერთი კვირით ადრე სტაციონარული საფუტკრიდან მხოლოდ ახალგაზრდა ფუტკრის ხელოვნურ გამონაყოფს ვაკეთებთ და ჯარაში ვფეთქავთ (ვათავსებთ), სადაც მხოლოდ ცარიელი უფიჭო ჩარჩოები გვაქვს ჩაწყობილი. ახალგაზრდა ფუტკრებით ვავსებთ ჯარას და განაყოფიერებული დედა ფუტკარი შეგვყავს. არ ვახმართ არანაირ შაქარს ან სხვა დანამატებს. მთავარი ღალიანობის დასაწყისში დროებით ერთი კვირით ვამწყვდევთ დედა ფუტკარს, რათა კვერცხმდებლობა შევაჩეროთ და ფუტკრებმა ღალის მოპოვებაზე იზრუნონ და არა ბარტყის გამოზრდაზე. ამით ჩვენ ვიღებთ ბუნებრივად აშენებულ ფიჭებს. შემდეგი ღალიანობის დროს უკვე გვაქვს ნამდვილი ნატურალური თაფლის მარაგის ამოღების საშუალება. როდესაც ღალიანობა დასრულდება, ჯარა საფუტკრეს ვაუქმებთ, მცირე ჩარჩოები გადაგვაქვს სტანდარტულ ჩარჩოზე (4 ცალი ჯარას ჩარჩო ერთ დიდ სტანდარტულ ჩარჩოზე მაგრდება), ვათავსებთ სტანდარტულ სკაში, სადაც ჩვეულებრივად ვაძლევთ დანამატებს, ვუტარებთ მკურნალობას და ვაზამთრებთ სტანდარტულ სკაში. მომავალი წლიდან ისევ იმავე პროცესს მივყვებით.

- როგორ აფასებთ ქართულ თაფლს მსოფლიო სტანდარტების თვალსაზრისით და რა გამოწვევები ახლავს ამ დარგს?

- ქართულ თაფლს მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვს საერთაშორისო ბაზარზე, რისი საფუძველიც არის ქვეყნის სუფთა გარემო და ბიომრავალფეროვნება, თუმცა ბოლო წლებში ფუტკრების დაავადებების გავრცელებამ სერიოზული გავლენა მოახდინა დარგზე. ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა ანტიბიოტიკების არასათანადო გამოყენება, რაც იწვევს ნარჩენების არსებობას თაფლში და ფუტკრის სხვა პროდუქტებში. ამ პრობლემის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ვეტერინარული პრეპარატების სწორად გამოყენება და დარგისთვის დადგენილი რეგულაციების მკაცრი დაცვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ზარალს იღებს არა მხოლოდ ცალკეული მეფუტკრე, არამედ მთლიანად დარგი და მომხმარებელი. ეს ქმნის რეალურ საფრთხეს საქართველოს ფუტკრის პოპულაციისა და ეკოსისტემისთვის. წლების წინ, როცა აზიური ფაროსანას შემოსევა დაიწყო, მცენარეები უსაფრთხოების დარღვევით შეიწამლა. წამლობამ ფუტკრების ინტოქსიკაცია გამოიწვია. არა მარტო ფუტკრები, თაგვები, ჩიტები, კოდალები და ზღარბებიც დაიხოცნენ, რადგან ძლიერ ტოკსიკური, დიდი დოზით, ბიფენტრინის შემცველობის ხსნარი გამოიყენეს, რამაც მცენარეების დაზიანება და ხმობა გამოიწვია.

- რა რჩევას მისცემდით დამწყებ მეფუტკრეებს?

- პირველ რიგში, მეფუტკრეობის სფეროში დაინტერესებულმა პირებმა სიღრმისეულად უნდა შეისწავლონ დარგის თეორიული საფუძვლები. რეკომენდებულია მრავალფეროვანი სამეცნიერო ლიტერატურის გამოყენება, მათ შორის ელექტრონული რესურსების, თუმცა აღსანიშნავია, რომ ინტერნეტსივრცეში არსებული ინფორმაცია ყოველთვის არ არის სანდო, ან მეცნიერულად სწორი. სასურველია, დამწყებმა მეფუტკრეებმა ითანამშრომლონ გამოცდილ და წამყვან სპეციალისტებთან, აქტიურად ჩაერთონ პროფესიულ ღონისძიებებში, ტრენინგებსა და პრაქტიკულ აქტივობებში. ამავდროულად, აუცილებელია უახლესი ტექნოლოგიებისა და მეთოდების გაცნობა, აგრეთვე, ბიოუსაფრთხოების სტანდარტების დაცვა, რაც უზრუნველყოფს როგორც ფუტკრის ოჯახის, ისე პროდუქტების ხარისხისა და მომხმარებლის ჯანმრთელობის დაცვას.

- რა გეგმები გაქვთ მომავალში, აპირებთ გაფართოებას ან ახალი პროდუქტების წარმოებას?

- დიახ, ვგეგმავ სკების რაოდენობის გაზრდას და ბიოთაფლის წარმოების გაძლიერებას. გარდა თაფლისა, განვიხილავ ფუტკრის სხვა პროდუქტების წარმოებასაც, როგორებიცაა დინდგელი (პროპოლისი), სანთელი და დედა ფუტკრის რძე. ჩემი მიზანია, საბაზრო მოთხოვნების შესაბამისად, ფუტკრის ნატურალური პროდუქტების სრულყოფილი ხაზის შექმნა, რაც მოიცავს ეკოლოგიურად სუფთა და ხარისხიანი პროდუქციის მიწოდებას მომხმარებლისთვის.

მარიამ ხითარიშვილი

„ბათუმობა – 2025“

ბათუმში ქალაქის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები ორი დღის განმავლობაში, 3 და 4 მაისს, გაგრძელდა. „ბათუმობა 2025“-ის ფარგლებში ღონისძიებები დილიდან მიმდინარეობდა. ძირითადი აქტივობები ზღვისპირა პარკში, საზაფხულო თეატრისა და ბულვარის კოლონადების მიმდებარედ გაიმართა. გაიხსნა ხელნაკეთი ნივთებისა და ხალხური რეწვის ნიმუშების გამოფენა, გასტრონომიული კუთხე. მოეწყო არაერთი გასართობი და შემეცნებითი სივრცე

ღია ცის ქვეშ გაიმართა ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი „მეფე მასხარა“ აჰმედ ონელის ნაწარმოების მიხედვით (რეჟისორები - ჰალიუქ იუჯე, მარინა იუჯე). მონაწილეობდნენ მსახიობები: ვანო მაღლაკელიძე და სალომე დოლიძე. საზაფხულო თეატრთან მოწყობილ სცენაზე მაყურებლის წინაშე წარსდგნენ შემსრულებლები და ანსამბლები.

ბათუმობის პირველი დღის საზეიმო ღონისძიებები კახაბერმა და ხანუმებმა დაასრულეს.

- დღეს სსიპ „აჭარის მუზეუმმა“ ბათუმობის დღესასწაულზე გადაწყვიტა, რომ წარმოედგინა მე-19-20 საუკუნეების ბათუმური ყოფა-ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ოთახი. ვფიქრობ, ძალიან საინტერესო და მიმზიდველია. ვიზიტიორები, რომლებიც მოდიან და ათვალიერებენ, აღფრთოვანებულები რჩებიან. მათთვის საუცხოოა ეს ყველაფერი, - გვითხრა აჭარის სამუზეუმო გაერთიანების დირექტორმა თეონა ზოიძემ.

- ბათუმი ყოველთვის, ყოველ სეზონზე ასოცირდება თავისუფლებასთან, მხიარულებასთან, რადგან, მდებარეობიდან გამომდინარე, მისი სანაპირო, ლამაზი ბუნება, ყველაფერი ერთად ძალიან კარგ განწყობას ქმნის. ვულოცავ ყველა ბათუმელს! - გვითხრა ნინა ჩიტაძემ.

- მინდა, ბათუმობა მივულოცო ყველა ბათუმელს და, ასევე, მთელ საქართველოს. მიხარია, რომ ქალაქის დღესასწაულის ეს ტრადიცია არსებობს. იმხელა ტრადიციების და ისტორიის მქონეა ბათუმი, რომ აუცილებლად უნდა ნახოს ეს ყველაფერი სტუმარმაც და მომავალმა თაობამაც, რომელიც ამ ქალაქში იზრდება, - გვითხრა იუმორისტმა დავით როსტომაშვილმა.

ბულვარში ადგილობრივმა მეწარმეებმა პროდუქცია გამოფინეს, გურმანებისთვის გასტრონომიული კუთხე მოეწყო. მომზადდა აჭარული კერძებიც.

- დღევანდელი დღე ჩვენთვის, მეწარმეებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მოხარული ვარ, რომ გვაქვს შესაძლებლობა, გამოვფინოთ ჩვენი ხელნაკეთი აქსესუარები, - გვითხრა „არტ ნილეს“ დამფუძნებელმა ლია გორგაძემ.

- ჩვენი ქალაქი ძალიან ლამაზად გამოიყურება. მე გამოვფინე ჩემი ხელსაქმის ნიმუშები. მომხმარებელს ძალიან მოსწონს, იყიდება და მოვინდომე, აქაც გამომეტანა და ხალხისთვის მეჩვენებინა ჩემი ნამუშევრები, ძალიან კმაყოფილი დავრჩი ამით მეც და ბათუმის სტუმრებიც, - გვითხრა მეწარმე ქეთევან რომანაძემ.

„ბათუმობა - 2025“ გალა კონცერტით დასრულდა. მაყურებლის წინაშე 20-მდე ადგილობრივი სოლო შემსრულებელი წარსდგა. ღონისძიების ფარგლებში საპატიო ბათუმელებიც დააჯილდოვეს.

- დღევანდელი დღესასწაული მინდა მივულოცო ყველა ჩვენს თანაქალაქელს, იმ ადამიანებს, ვისაც ბათუმი უყვარს. ბათუმობა არ არის მხოლოდ კულტურული იდენტობისა თუ ქალაქის დღესასწაული, ეს არის ყველა ჩვენი თანაქალაქელის დღესასწაული. დღევანდელ დღესთან დაკავშირებით, ბათუმთან დამეგობრებული ქალაქების დელეგაციებს ვუმასპინძლე. მადლობა გადავუხადე მათ მეგობრობისა და თანამშრომლობისათვის, იმისათვის, რომ

გახდნენ ჩვენთვის მნიშვნელოვანი დღესასწაულის თანამონაწილენი, გილოცავთ ბათუმობას! - განაცხადა ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა.

მარიამ ხითარიშვილი

სტუმარი

ანა შამილაძე – უმუშევრობისას ნაპოვნი საყვარელი საქმე

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის გადაცემების - „ახალი ტალღა“ და „ყავა ბათუმურად“ წამყვანი ***ანა შამილაძე*** *ამჯერად გაზეთ „აჭარის“ სტუმარია და თავის განვლილ ცხოვრებაზე, სირთულეებზე, სიხარულზე, წარმატებასა და საყვარელი საქმის აღმოჩენაზე საუბრობს.*

- ანა, უპირველესად, ჩვენს მკითხველს გაეცანით...

- ჩემი ოჯახი, ბედნიერი და მსუყე ბავშვობა, შემდეგ - თინეიჯერული აღმაფრენები, რასაც მოსდევს ძალიან რთული სრულწლოვანი პერიოდი... 30 წლიდან იწყება ფსკერიდან ამოსვლის, გააზრების და გაცნობიერების რამდენიმე წელი, რამაც მიმაახლოვა სიმშვიდესა და ბალანსთან.

- როგორ დაიწყეთ ტელევიზიაში მუშაობა და რამ გიბიძგათ ამ სფეროსკენ?

- მიბიძგა უმუშევრობამ. სამსახურის ხანგრძლივად ძებნის შემდეგ, ჩემი მეგობრების, ჟურნალისტების ლიკა აროშიძის, თამუნა გუდავას და, ასევე, რეჟისორ ჯემალ ლამპარაძის დახმარებით, მოვედი ტელევიზიაში, ზედმეტი ამბიციის და დიადი გეგმების გარეშე, უბრალოდ, ძალიან მჭირდებოდა სამსახური. მოვედი დილის გადაცემაში და გავხდი რეპორტიორი. ჰოი, საოცრებავ, გამოვიდა, რომ აბსოლუტურად შემთხვევით ვიპოვე საყვარელი საქმე.

- ყველაზე რთული და ყველაზე სასიამოვნო მომენტი, რაც წამყვანობის კარიერაში გქონიათ?

- ვერ გამოვყოფ, ყველა წამი სასიამოვნოა. ტელევიზიის ხიბლიც ესაა, თუ თავი იგრძენი აქაურობის ორგანულ ნაწილად, იმდენად დინამიკური და ცოცხალი ორგანიზმია, რომ მუდმივი განვითარების პროცესში შედიხარ. გამომდინარე იქიდან, რომ ეს ჩემთვის ყველაზე დიდი სიამოვნებაა, ტელევიზია ზუსტად ის ადგილია, სადაც მუდმივად დინამიკაში ხარ, ვითარდები და ეს უწყვეტი პროცესია, თუმცა ყველაზე მეტად მაინც ახლა მსიამოვნებს საქმის კეთება, როცა თავად ვარ საკუთარი გადაცემის ავტორი, რომელსაც „ყავა ბათუმურად“ ჰქვია.

- როგორ ემზადებით პირდაპირ ეთერში გასასვლელად გადაცემისთვის „ყავა ბათუმურად“?

- პირდაპირ ეთერში გასვლის წინ დიდ სამზადისში ვარ-მეთქი, რომ გითხრათ, მოგატყუებთ. დილას ადგომა ისე მიძნელდება, განსაკუთრებული მომზადების თავიც არ მაქვს. თუ ვიცი, რომ ჩემთვის საინტერესო თემებზე იქნება საუბარი, ენერგია ეთერში შესვლისთანავე თავისით მოდის. წინასწარ ვფიქრობ თითოეულ რესპონდენტზე. სანამ გადაღების პროცესი დაიწყება, რამდენიმე საათით ადრე, გონებაში თავისით იწყება ამ ადამიანთან დიალოგი და, როგორც წესი, წინასწარ ნაფიქრი დიალოგები გადაღების პროცესში ძალიან ამართლებს. კითხვების საგანგებო ფორმულირება არის გადამწყვეტი იმისთვის, რომ რესპონდენტი გაიხსნას.

- ტელევიზია რომ არა, რა პროფესიას აირჩევდით?

- ბავშვობიდან ჩემი მთავარი ინტერესის სფეროა ადამიანი და მისი ფსიქიკის სტრუქტურა, ამიტომაც ყოველთვის მაინტერესებდა ფილოსოფია და ფსიქოანალიზი. დღემდე ამ ტიპის ლიტერატურას ვანიჭებ უპირატესობას. შესაბამისად, ტელევიზია რომ არა, მიუხედავად იმისა, რომ პროფესიით ხელოვნებათმცოდნე ვარ, დამატებით პროფესიად ალბათ სოციალურ ფსიქოლოგიას ავირჩევდი. ვფიქრობ, არც ახლაა გვიან და თუ ოდესმე დრო გამომითავისუფლდა, აუცილებლად ვიფიქრებ ამაზე.

- თქვენი აზრით, რა თვისებები უნდა ჰქონდეს კარგ წამყვანს, მაყურებლის გული რომ მოიგოს?

- ბანალური ვიქნები და ვიტყვი, რომ მთავარი გულწრფელობაა. უნდა იყო ის, ვინც რეალურად ხარ და არა ის, ვინც შენ მოგწონს და გინდა რომ ჰგავდე. სანამ ვიღაცისნაირობას თამაშობ, ვერც ის ვიღაც გახდები და ვერც საკუთარი თავი, თუმცა საკუთარი თავი რომ გახდე, ჯერ უნდა იპოვო იგი. ზუსტად ვიცი, რომ ყველა ადამიანი ინდივიდია და უნიკალური, უბრალოდ, საკუთარ თავში ამ უნიკალურობას პოვნა უნდა, რაც არცთუ ისე მარტივი და მოკლევადიანი პროცესია...

- როგორ უთავსებთ ერთმანეთს პირად ცხოვრებას და ამ დატვირთულ გრაფიკს?

- ძალიან რთულია ბალანსის პოვნა, ჩემს შემთხვევაში, კიდევ უფრო რთული იმიტომ, რომ საქმის „ფსკერში“ თუ არ ჩავედი, ზედაპირულად არაფერი გამომდის, რაც ვფიქრობ, არც ისე კარგია... თუმცა მაინც ვცდილობ, წონასწორობა არ დავკარგო და არ მივმართო ჭარბი პოტენციალი მხოლოდ ერთ სფეროზე. ზუსტად ვიცი, რომ ნებისმიერ სფეროში ბალანსის დაკარგვა სარისკოა. ასე რომ, ვცდილობ სამყაროს უმთავრეს პრინციპს - ბალანსის სისტემას მივყვე ყველა სფეროში.

- რა არის მთავარი პარტნიორულ ურთიერთობაში?

- ნდობა და სიმსუბუქე. ნდობა დროს მოაქვს, სიმსუბუქე - ბავშვობის მეგობრობას. ასე რომ, ცხოვრების მეგზურად თუ ბავშვობის მეგობარი აირჩიეთ, უპირობოდ ერთიც იქნება და მეორეც.

- ორი ვაჟის დედა ხართ. როგორი ურთიერთობა გაქვთ შვილებთან?

- მჯერა, რომ შვილები ჩემი ყველაზე დიდი მეგობრები არიან და ყოველთის ვცდილობ, მათთან თანასწორი ურთიერთობა მქონდეს. არაფერს ვუკრძალავ, არაფერს ვაიძულებ. თუ ძალიან არ გამომიყვანეს მდგომარეობიდან, რაც ხშირ შემთხვევაში სახლის არევას უკავშირდება, ვცდილობ, კატეგორიულიც არ ვიყო. თანამედროვე ბავშვებთან არ მუშაობს დირექტიული ტონი, მინდა ამის გარეშე, თავისით მივიდნენ სწორ გადაწყვეტილებამდე. ნდობა - ესაა ყველაზე მნიშვნელოვანი მშობლებსა და შვილებს შორის. ყველაზე მთავარი ფრაზა, რაც დედამ უნდა უთხრას შვილს, ეს არის „მე შენ მიყვარხარ და გენდობი“. როცა შვილს შთააგონებ, რომ უპირობოდ ენდობი, მეეჭვება, ურთიერთობაში ბზარი გაჩნდეს.

- როგორია თქვენი დილა, ყავასთან ერთად რას ამატებთ ბედნიერების რეცეპტში?

- ყველაზე ბედნიერი და „გემრიელი“ დღის მონაკვეთი ჩემთვის არის დილა, ის 20 წუთი - ყავის სმის პროცესი. ყველაზე მეტად ამ დროს ვისვენებ, არაფერზე ვფიქრობ ყავის და მისი გემოს გარდა, რაც ერთგვარი მედიტაციაა - ყველანაირი ფიქრის გარეშე გაძლოს ადამიანმა 15-20 წუთი, არაა მარტივი პროცესი. ამიტომ მიყვარს ყავა ასე ძალიან, მედიტაციურ მდგომარეობაში გადავყავარ. სხვათა შორის, იმ მომენტში უკარება და აგრესიულიც კი შეიძლება გავხდე, თუ ვინმე, თუნდაც შვილები, შემომეჭრებიან ჩემს ენერგოველში.

- ეკრანს რომ გამორთავ და ხარ უბრალოდ - შენ...

- ჩემში არის სამი ასაკი - 7 წლის პატარა ანა, 22 წლის ანა და 38 წლის ანა. მარტო როცა ვარ, ეს სამი ანა ერთმანეთს ელაპარაკება, ყველაზე საინტერესო დიალოგები სწორედ მათ შორის იმართება. ასე რომ, მარტო არასოდეს ვარ.

- როგორია თქვენი ყოველდღიურობა?

- აუცილებლად უნდა ჩავიარო ძველ ბათუმში და ყველა ჯერზე ტურისტივით ავათვალიერ-ჩავათვალიერო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში შესული შენობა-ნაგებობები. მინდა, რაც დარჩა, ის მაინც დავიცვათ, ყველას გავაგებინო, რომ ჩვენი ქალაქის მთავარი ღირსება ბულვარი და ძველი ბათუმია, რომლის დაცვა ბათუმელის (და არა მხოლოდ...) ვალდებულებაა.

- დაბოლოს, უახლოესი გეგმები...

- არასოდეს ვსაუბრობ ჩემს გეგმებზე წინასწარ (ყოფით გეგმებს არ ვგულისხმობ), რადგან ფიქრის დონეზე მუშავდება გონებაში. არაერთი იდეის და გეგმის განხორციელება მაქვს ჩაფიქრებული ახლო მომავალში, მაგრამ ამაზე - ოდნავ მოგვიანებით.

ხატია იაშვილი

ღირსეულს - ღირსეული ჯილდო

ძალიან სასიამოვნო ამბავი გავიგეთ - ბატონი თეიმურაზ ჭანტურიშვილი ბათუმის საპატიო მოქალაქე გახდა. ჩვენი სიხარული, რა თქმა უნდა, უსაფუძვლო როდია. თითქმის ორი ათეული წელი ბათუმის უმაღლეს პედაგოგიურ კოლეჯში ერთად ვიმუშავეთ. ეს ხომ თითქმის ცხოვრების მეოთხედია.

ბატონი თემურ ჭანტურიშვილი ჩვენი დირექტორი გახლდათ. მან მოვალეობად დაისახა, სარგებლობა მოეტანა კოლეგებისთვის, თანამშრომლებისთვის, შეიძლება ითქვას - ქალაქისთვის.

მას შემდეგ ათობით წელი გავიდა, მაგრამ მაშინდელი ადამიანური სიახლოვე, ურთიერთობა გვაფიქრებინებს, რომ თემურ ჭანტურიშვილი ბედნიერი კაცია. არა მარტო სასწავლებელმა, ჩვენმა ბათუმქალაქმაც მიანიჭა ბედნიერების საფუძველი.

თემური გახლდათ გამორჩეული პედაგოგიური მოღვაწე, პრინციპული პიროვნება, ბრძენიც. კოლეჯსა და მის პედაგოგებთან დაკავშირებით დირექტორის მიერ გადადგმული თითოეული ნაბიჯი სიბრძნით იყო ნაკარნახევი.

კარგად მახსოვს ის დღე, როცა დირექტორად ავირჩიეთ - თერთმეტ კანდიდატს შორის ხმათა უმრავლესობით გაიმარჯვა.

შემდეგ იყო მოლოდინის რეჟიმი - როგორი დირექტორი იქნებოდა ჩვენი არჩეული პიროვნება...

პირველ სამუშაო დღეს გამოგვიცხადა, რომ 45 წუთს თათბირს დაუთმობდა, ძალაუნებურად, ყველამ მაჯის საათზე დავაფიქსირეთ დრო. არ ვიცი, როგორ მოახერხა ამის განსაზღვრა, მაგრამ ზუსტად 45 წუთში ჩაატია თავისი მოთხოვნები.

არ მახსოვს, საზაფხულო არდადეგების პერიოდში თუნდაც ერთი კვირით დაესვენოს. დასვენების იშვიათ დღეებშიც კი ხშირად უკითხავთ ყოფილ სტუდენტებს თემურ ჭანტურიშვილის ტელეფონის ნომერი, რათა რჩევა ეთხოვათ ამა თუ იმ საკითხზე.

ამდენი წლის შემდეგაც მისი ყოფილი თანამშრომლები, პედაგოგები და თავად ბატონი თემური ვიკრიბებით ყოველი სექტემბრის მეორე კვირას და ვიხსენებთ ერთად გატარებულ წლებს. ბატონი თემური ასეთ დღეებშიც იჩენს მზრუნველობას და სხვადასხვა პრობლემასთან დაკავშირებით დახმარებას გვთავაზობს.

ამ თემაზე შემიძლია უსასრულოდ ვისაუბრო, მაგრამ ამჯერად, ვგონებ, საკმარისია.

ეს ღირსეული ადამიანი დღეს ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბანში ცხოვრობს და საკუთარ კარმიდამოში სამოთხის ბაღის მსგავს წალკოტს აშენებს.

ჩვენ, მისმა ყოფილმა პედაგოგ-თანამშრომლებმა გადავწყვიტეთ, მიგვემართა ბათუმის მერ არჩილ ჩიქოვანისთვის, რათა თემურ ჭანტურიშვილის სახით ქალაქს შემატებოდა კიდევ ერთი საპატიო ბათუმელი.

და, აი, დღეს თემურ ჭანტურიშვილი ბათუმის საპატიო მოქალაქეა.

დიდი მადლობა, ბატონო არჩილ! დიდი მადლობა ქ. ბათუმის მერიასთან არსებულ ჯილდოების მიმნიჭებელ კომისიას.

ლეილა ხინთიბიძე,
მწერალი

„უნდა მოიძებნოს ცივილიზაციის წინა ფრთაზე მყოფი ქვეყნებისა და ჩვენი ეროვნული ინტერესების თანხვედრის ველი“

მე-4 გვერდიდან

ხელისუფლება, განსაკუთრებით - „ნაციონალურ მოძრაობას“ და მასთან აფილირებულ პოლიტიკურ ორგანიზაციებს. აკრძალავს მათ? თუ არადა, რა ბერკეტები აქვს ოპოზიციას, რომ დაიცვას საკუთარი ინტერესები, გარდა დასავლელი მფარველებისგან სასანქციო რეჟიმის გამკაცრებისა.

- საგარეო საკითხსაც შევეხოთ: რამდენად სერიოზულია საგარეო საფრთხეები და რამ შეიძლება გამოიწვიოს მათი ესკალაცია?

- საფრთხეები სერიოზულია. მათი ესკალაცია დამოკიდებულია მსოფლიოში განვითარებულ მოვლენებზე. დასავლეთთან დღევანდელი ხელისუფლების კრიტიკულმა დამოკიდებულებამ და ხშირად ოპონირების რეჟიმში ყოფნამ ქვეყანა, ფაქტობრივად, ძლიერი მოკავშირეების გარეშე დატოვა. ჩინური ვექტორი სწრაფად მოქმედი და საიმედო ჯერჯერობით არ არის და ძნელია, გახდეს აშშ-ევროკავშირთან სტრატეგიული პარტნიორობის რეალური ალტერნატივა. რუსეთთან ურთიერთობებისა და პარტნიორობის აღდგენა ამ ეტაპზე შეუძლებელი ჩანს და საამისოდ რომ განაწყობს ქართულ საზოგადოებას, ისეთი კომპრომისი (რაღაც - ყარაბაღის ისტორიის მსგავსი) წარმოუდგენელია. ირანი ვექტორი ვერ გახდება ხილულ მომავალში, ხოლო თურქეთთან ურთიერთობების შემდგომ ინტენსიფიკაციას და დაახლოებას ბევრი სერიოზული ფაქტორი შეუშლის ხელს... მოკლედ, ფხიზლად უნდა ვიყოთ და გამჭრიახი პოლიტიკური ლიდერების იმედად, რომელთა დეფიციტიც იგრძნობა ქვეყანაში.

- უკრაინაში მიმდინარე პროცესების და მათი გადაწყვეტის ფონზე პოსტსაბჭოთა ქვეყნების მომავალი როგორ გესახებათ?

- ვამბობდი და ვამბობ, რომ იმპერიების ნანგრევებზე წარმოშობილმა ქვეყნებმა, როგორც ამას ისტორია გვასწავლის (მაკედონელის იმპერიის დაცემის მერე წარმოშობილი ქვეყნების მომავლიდან დაწყებული), უნდა დაამტკიცონ, რომ შეუძლიათ, იმსახურებენ და ღირსნი არიან თავისუფლების, დამოუკიდებლად არსებობის და ღირსეული მომავლის. უკრაინის მაგალითითაც სწორედ ჩემი ეს ვარაუდი მტკიცდება. თვით ბალტიის ქვეყნების პერსპექტივაც კი, მიუხედავად ნატოს ქოლგისა, არ არის ცალსახად გარანტირებული. დადგება სხვა ქვეყნების მომავლის საკითხიც. თავი რომ დავანებოთ ფრივოლურად გამიჯნულ ფერგანის ველს და სახელმწიფოებს ცენტრალურ აზიაში, საყურადღებოა თავისთავად ბელარუსის პერსპექტივა (სამოკავშირეო სახელმწიფო რუსეთთან ერთად, სახეზეა); აზერბაიჯანს და თურქეთს აქვთ მჭიდრო ურთიერთობა „ერთი ერი - ორი სახელმწიფოს“ პრინციპის საფუძველზე, „დიდი თურანის“ იდეური საფუძვლების კონტექსტით; ყარაბაღის დაკარგვის შემდეგ, რუსეთთან საორჭოფო ურთიერთობების და დასავლეთისკენ მომზირალი ფაშინიანის მმართველობის მომავლით გაგრძელებული და 22% ტერიტორიებდაკარგული საქართველოს ხვალინდელი დღით დამთავრებული, ჯერ კიდევ ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ არაღიარების პოლიტიკის მხარდამჭერი დასავლეთის და საქართველოს ფედერაციულ/კონფედერაციულ მოწყობაზე მეოცნებე რუსეთის ფაქტორის გათვალისწინებით. აი, ასე ძნელად საპროგნოზოა პოსტსაბჭოთა ქვეყნების მომავალი. მე მაინც ვფიქრობ, რომ მომავლის იმედი უნდა გვქონდეს, თუ სათანადო გონიერებას გამოვიჩენთ.

ლაშა ხომერიკი

ფაშიზმზე გამარჯვებიდან 80 წელი გავიდა

მე-6 გვერდიდან

ქართველთა თავდადება ყველგან საჩინო და გმირული იყო, თვით კოვპაკის პარტიზანულ რაზმშიც გმირობისა და თავდადების უბადლო მაგალითი აჩვენა ქუთაისელმა დავით კვიცარიძემ, რომელსაც საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა, ამ წოდებას კი საქართველოდან წარგზავნილი 169 ადამიანი ატარებდა.

მეორე მსოფლიო ანუ დიდი სამამულო ომიდან 46 წლის შემდეგ საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა. ერთხანს 9 მაისი მივიწყებას მიეცა. მაშინ კიდევ მრავლად იყვნენ ცოცხალი ის ადამიანები, რომლებმაც სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ყოფნით, გამარჯვება მოიპოვეს. გონიერი ადამიანების განსჯით, 9 მაისი ისევ უქმედ გამოცხადდა...

ქართველებს ყველა დროსა და ეპოქაში ერთი მოუნელებელი სენი გვჭირს: ვერ ვაფასებთ ჩვენი ჯიშისა და გენის, ჩვენს წიაღში აღმოცენებული პიროვნების ამაგს. ამ სტრიქონების ავტორს იგივე შუახევის რაიონში მცხოვრებლებისგანაც მსმენია: ფაშისტებს რომ გაემარჯვათ, უკეთესად ვიქნებოდითო. მავანს ავიწყდება, რომ ფაშისტები არიული რასის გაბატონებაზე ფიქრობდნენ და დაპყრობილ ტერიტორიებზე მამაკაცების დასაჭურისებაც დაიწყეს. აღარაფერს ვამბობ საკონცენტრაციო ბანაკებსა და კრემატორიუმებში დახოცილ-დამწვრებზე. რომ არა ქართველი კაცის გენია, ვინ იცის, რა მდგომარეობამდე მიიყვანდნენ ისინი მსოფლიოს.

მსოფლიოში ცნობილი პოლიტიკოსი, ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი უინსტონ ჩერჩილი იოსებ სტალინს ასე ახასიათებს: „ბატონებო, თუ გვინდა, დავრჩეთ თავისუფალი სამყაროს სათავეში, ჩვენი ვალია, ვიცოდეთ და ჯეროვნად შევაფასოთ ჩვენი მტრები, განსაკუთრებით გამოჩენილი პიროვნებები. დღეს ასეთად მინდა დავასახელო გენერალისიმუსი სტალინი. დიდი ბედნიერება იყო, რომ ქვეყანას მძიმე განსაცდელის ჟამს სათავეში ჩაუდგა გენიოსი და ურყევი მხედართმთავარი სტალინი. იგი იყო ყველაზე გამოჩენილი პიროვნება, რომელიც შეეფერებოდა ჩვენი ცვალებადი და მკაცრი დროის იმ პერიოდს, რომელშიც მას უხდებოდა ცხოვრება. სტალინი იყო არაჩვეულებრივად ენერგიული და ერუდირებული, უდრეკი ნებისყოფის, სასტიკი, ულმობელი ადამიანი, როგორც საქმეში, ისე საუბრისას, ვისაც მეც კი აქ, ბრიტანეთის პარლამენტში აღზრდილი, ვერ ვუწევდი წინააღმდეგობას. სტალინს, უწინარეს ყოვლისა, იუმორისა და სარკაზმის დიდი გრძნობა და თქმულის ზუსტად აღქმის განსაცვიფრებელი ნიჭი ჰქონდა, თავის სტატიებსა და გამოსვლებს მხოლოდ თავად წერდა და მათში ყოველთვის იგრძნობოდა შემსრულებლის ძალა, რომელიც სტალინში იმდენად დიდი იყო, რომ ყველა ხალხისა და დროის ქვეყნის ხელმძღვანელთა შორის განუმეორებლად წარმოჩნდებოდა. სტალინი ჩვენზე უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენდა, მის გავლენას ადამიანზე ანალოგი არ ჰქონდა... როცა ის იალტის საკონფერენციო დარბაზში შემოდიოდა, ჩვენ, თითქოს გვიბრძანესო, ვდგებოდით და, რა საოცრადაც უნდა მოგეჩვენოთ, ხელები რატომღაც შარვლის ნაკერების გასწვრივ გვქონდა გაჭიმული. ის ღრმა სიბრძნეს ფლობდა. იყო ყველაზე რთული და გამოუვალი მდგომარეობიდან გამოსვლის უბადლო ოსტატი, კრიტიკულ და საზეიმო მომენტებში თანაბრად თავდაჭერილი, არასოდეს აჭყვებოდა ემოციებს და არ ეძლეოდა ილუზიებს. იგი უჩვეულო და რთული პიროვნება იყო. მან შექმნა და დაიქვემდებარა ვეებერთელა იმპერია. ის იყო კაცი, რომელიც თავის მტრებს თავისივე მტრის ხელით ანადგურებდა, გვაიძულებდა ჩვენ, ვისაც დაუფარავად იმპერიალისტებს გვიწოდებდა, იმპერიალისტების წინააღმდეგ გვებრძოლა. სტალინი იყო უდიდესი დიქტატორი, რომელსაც მსოფლიოში ტოლი არ ჰყოლია, მან მიიღო ხის კავიანი რუსეთი და დატოვა ატომური იარაღით აღჭურვილი! რაც უნდა თქვან მასზე, ასეთ ადამიანებს ისტორია და ხალხი არ ივიწყებს“. მსხვერპლი, ნგრევა, რომელიც მეორე მსოფლიო ომმა დატოვა, საშინელება იყო. ქართველები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები მტერს ებრძოდნენ და ბრძოლის ფასად 9 მაისი მოიტანეს. ახლა ამერიკის შეერთებული შტატების 47-ე პრეზიდენტმა სურვილი გამოთქვა, 9 მაისი 8 მაისამდე „ჩამოაქვეითოს“. ამით ის წინაპირობას ქმნის, რომ მეორე მსოფლიო ომის მთავარ გმირად ამერიკელი ჯარისკაცი წარმოაჩინოს. თავის დროზე კი რუსული შოვინიზმით შეპყრობილმა ნიკიტა ხრუშჩოვმა ცრუ ბრალდებებითა და „პიროვნების კულტით“ დაჩრდილა იოსებ სტალინის დამსახურება კაცობრიობის წინაშე. ქვეყანა ობელისკებითა და მემორიალებით უკვდავყოფდა მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა სახელებს. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის წლებში კი მიწასთან გაასწორეს ის ძეგლები. ქუთაისში მემორიალის აფეთქებას ადამიანების სიცოცხლეც შეეწირა. სიძულვილი და ბოროტება ყველა დროსა და ეპოქაში დამღუპველი იყო. საბოლოოდ მაინც იმარჯვებს ნათელი, როგორც ფაშიზმი დაამარცხა სხვადასხვა ხალხის პატრიოტმა შვილებმა.

ოთარ ცინარიძე

განცხადებები

«აჭარაში» განთავსებული განცხადებების ღირებულება

სამგლოვიარო განცხადება: სიტყვა 30 თეთრი

ნეკროლოგი: სიტყვა 30 თეთრი

მილოცვა: სიტყვა 50 თეთრი

აუქციონები: სიტყვა 50 თეთრი

ფოტომილოცვა: ფოტო 5 ლ. სიტყვა 50 თ.

ოთარ ცინარიძე ოჯახით თანაუგრძნობს ანზორ და როლანდ ბოლქვაძეებს დედის

სემიე ზოიძე-ბოლქვაძის

გარდაცვალების გამო.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომძვეები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეროვნის ქ. №2
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 8/05/25, 17 [17] სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

„სახლი ღრუბლებში“ – პრემიერა ხულოს პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში

იუსუფ ზოიძის სახელობის ხულოს პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში სპექტაკლის - „სახლი ღრუბლებში“ პრემიერა გაიმართა, რომლის რეჟისორი თამაზ ბოლქვაძე გახლავთ. მუსიკალური გაფორმება ალექსანდრე ოჩიგავას ეკუთვნის, რეჟისორის თანაშემწე ბუხუტი აბულაძეა

რევაზ ნაჭყებიას პიესა მამა-შვილის ურთიერთობის ტრაგიკომიკურ ისტორიას მოგვითხრობს. წარმოდგენაში მხოლოდ ორი მსახიობი - ედნარ ბოლქვაძე (შალვა) და ანრი მუთიძე (თემური) მონაწილეობს.

- მოგეხსენებათ, პიესაში ორი პერსონაჟია - მამა-შვილი შალიკო და თემურ ხუჯაძეები. მე თემურს ვთამაშობ. შვილის როლი საკმაოდ რთული, თუმცა სასიამოვნო შესასრულებელი იყო. სირთულეს ის წარმოადგენდა, რომ პერსონაჟი დაღლილია როგორც ემოციურად, ისე ფიზიკურად. თემური და მამა მარტო ცხოვრობენ. მამას დემენცია აქვს - მძიმე ფორმებში, ამიტომაც ყოველდღე თითქოს სახლში მიდის იმის მიუხედავად, რომ უკვე სახლშია. თემური ცდილობს, მოიფიქროს და გაითამაშოს მოვლენები, რითაც ახერხებს სახლიდან არ გაუშვას და საწოლში დააბრუნოს. ვფიქრობ, სპექტაკლი შედგა, რადგან გარემო ხულოს თეატრში, პირადად ჩემთვის, იდეალურია. ადგილობრივ პერსონალს ვეხუმრები, რომ ხულოში ყველაზე დიდი სახლი მე მაქვს - თეატრში ვცხოვრობ-მეთქი, ამიტომ დღე-ღამის ნებისმიერ დროს მაქვს საშუალება, ვიმუშაო როლზე და ემოციურად დავისვენო გარე პრობლემებისგან. ღამის სამ საათზეც შემიძლია, დავჯდე მაყურებლის ადგილას და წარმოვიდგინო ცარიელ სცენაზე გაცოცხლებული სცენები. ამ სპექტაკლით ვეცადეთ, გაგვეღვიძებინა მაყურებლის ემოციების სხვადასხვა შრე, სადღაც დაგვსევდიანებია ან, სევდანარევ ღიმილთან ერთად, მათში მხიარული ნაპერწკალი ანთებულიყო, - გვითხრა მსახიობმა ანრი მუთიძემ.

- დამეთანხმებით, საკმაოდ რთულია, ითამაშო შენგან განსხვავებული პიროვნება, თანაც ისეთი, ვისაც დემენციის მძიმე ფორმა აქვს, ჩაწვდე მის ხასიათს და, პირველ რიგში, მაყურებელი არ მოატყუო. ბოლომდე გულწრფელი უნდა იყო, რომ შეისისხლხორცო ამ პერსონაჟის მდგომარეობა და მგონი, ეს გამომივიდა. მოგეხსენებათ, მსახიობები ყველაფერს აკვირდებიან. სხვა შეიძლება ვერ ამჩნევდეს, მაგრამ როცა თამაშობ, უფრო სიღრმისეულად უკვირდები, რომ რაღაც თვისებები შესაძლოა, ერთნაირი გქონდეთ. მინდა, მადლობა გადავუხადო ანრი მუთიძეს - ძალზე კარგი, მშრომელი, ნიჭიერი ბიჭია. მასთან ერთად სცენაზე ძალიან კარგად ვგრძნობ თავს, რადგან არაჩვეულებრივი მსახიობია. დამეთანხმებით, ორკაციანი სპექტაკლის თამაში არ არის ადვილი, როცა სცენაზე თითქმის ერთი საათი დგახარ. ამ დროს პარტნიორზე ძალიან ბევრია დამოკიდებული. ფაქტობრივად, მასზე ხარ მიჯაჭვული. ვფიქრობ, სათქმელი მაყურებლამდე კარგად მივიტანეთ. სპექტაკლის მთავარი არსი ისაა, რომ გავუფრთხილდეთ და მოვუაროთ მშობლებს, ჩვენ ხომ არ ვიცით, რა გველის მომავალში? მგონი, ამაზე დავაფიქრეთ მაყურებელი და პრემიერამაც კარგად ჩაიარა. დარბაზიდან დიდი ოვაციები წამოვიდა. მინდა, ასევე, დიდი მადლობა გადავუხადო რეჟისორს - ბატონ თამაზ ბოლქვაძეს შესანიშნავი სპექტაკლისთვის და ჩვენი თეატრის თითოეულ წევრს, - გვითხრა მსახიობმა ედნარ ბოლქვაძემ.

თეატრის დირექტორ თამაზ ბოლქვაძის ინფორმაციით, 5 მაისიდან შემოქმედებითი ჯგუფი ხულოს დრამატული თეატრისა და ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის კოპროდუქციაზე დაიწყებს მუშაობას.

რეჟისორი კოტე აბაშიძე დადგამს ნილ საიმონის „კალიფორნიულ სიუიტას“, რომელშიც მონაწილეობენ გიორგი გახარია, შორენა სიხარულიძე (ხელოვნების უნივერსიტეტის დიპლომანტი) და თეკლა ჯიჯავაძე (ხელოვნების უნივერსიტეტის დიპლომანტი).

მარიამ ხითარიშვილი

„მივხვდი, რომ ეს ისაა, რაც ძალიან მინდა“

აჭარაში, ბათუმში, არაერთი წარმატებული მწვრთნელია, რომელთა აღზრდილები სპორტის ამა თუ იმ სახეობაში მაღალ შედეგებს აღწევენ. ყოველი წლის ბოლოს მწვრთნელი სხვადასხვა ნომინაციაში სახელდება როგორც წლის საუკეთესო სპორტსმენი

ზედიზედ რამდენიმე წელია, საუკეთესო მწვრთნელთა შორისაა აჭარის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ფრენბურთში (2004 წლიდან), ეროვნული ნაკრების ყოფილი მოთამაშე, ამჟამად რამდენიმე ასაკობრივი ჯგუფის მწვრთნელი, „ა“ კატეგორიის საერთაშორისო ლიცენზიის მფლობელი ხათუნა გიორგაძე.

დაიბადა თბილისში, №102 საჯარო სკოლაც იქვე დაამთავრა და ფიზკულტურის აკადემიაში მოეწყო. სპორტსმენების ოჯახში გაიზარდა. მამა წარსულში ცნობილი ფეხბურთელი გახლდათ - ბონდო გიორგაძე ბათუმისა და თბილისის „დინამოში“ თამაშობდა, დედა - იზოლდა სვანიძე კი ტანმოვარჯიშე, საქართველოს ჩემპიონი იყო. თბილისელი გოგონა ბათუმში სწავლობდა და საქართველოს ჩემპიონიც აქ გახდა - აჭარას მოუტანა მედალი. ხათუნა სავსებით შესაძლებელი იყო, თავიდანვე სპორტს გაჰყოლოდა, მაგრამ ცეკვამ გაიტაცა. კარგადაც ცეკვავდა. თითქმის პროფესიონალურ დონემდე იყო მისული, როცა ერთ დღეს მამის მეგობარმა ფეხბურთელმა უთხრა: „მე შენ ბურთით ხელში უფრო გხედავო“... ამ სიტყვებმა, ფაქტობრივად, მისი მომავალი პროფესიის ბედი გადაწყვიტა.

ხათუნა ყოველთვის გამოირჩეოდა სიმაღლით და ამის გამო ბავშვობაში მცირე კომპლექსიც ჰქონდა. ერთხელ, ქუჩაში მიმავალი, სიმაღლის გამო გამოარჩია ფრენბურთელთა მწვრთნელმა. სწორედ სერგო ტარახჩიანი გახდა მისი პირველი მწვრთნელი.

- ვიღაც პიროვნება მოვიდა ჩემთან, სიმაღლემ მიიქცია მისი ყურადღება და მშობლის ტელეფონი გამომართვა. რა თქმა უნდა, მივეცი. ეს კაცი აღმოჩნდა ფრენბურთელი, ძალიან წარმატებული მწვრთნელი სერგო ტარახჩიანი, რომელმაც ვარჯიშზე მიმიწვია... შევდგი თუ არა დარბაზში ფეხი, აღარც ცეკვა მახსოვდა, აღარც - მუსიკა. იმ წამს ვიპოვე ჩემი თავი. მივხვდი, რომ ეს ისაა, რაც ძალიან მინდოდა. მაშინ მეშვიდე კლასში ვიყავი. ეტყობა, გენებმა მაინც თავისი გააკეთა.... იმწამსვე ავუღე ფრენბურთს ალღო... - ასე იგონებს ხათუნა პირველ ნაბიჯებს.

ერთ წელიწადში საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში მიიწვიეს, მალე ეროვნული ნაკრების წევრი გახდა. ეს იყო ძალიან წარმატებული გუნდი, რომელსაც არაერთი ქვეყნის ძლიერი ნაკრები ჰყავდა დამარცხებული, მაგრამ მაშინ მნიშვნელოვან ტურნირებზე მხოლოდ საბჭოთა კავშირის სახელით უნდა გეთამაშა და არა საქართველოს ნაკრების...

საქართველოს ნაკრებში 21 წლის ასაკამდე ითამაშა - სანამ გათხოვდებოდა. თბილისში ფიზკულტურის ინსტიტუტი წარმატებით დაამთავრა მწვრთნელის სპეციალობით. ყოველთვის ძალიან აქტიური იყო. ძირითად სპეციალობასთან ერთად, დაეუფლა მეორადსაც - ჟურნალისტიკისა და სამედიცინო ფაკულტეტებზე ისწავლა, თუმცა მაინც მწვრთნელის პროფესია არჩია. ამბობს, რომ საქმიანობაში ორივე გამოადგა: ჟურნალისტიკა, როგორც სასურველ რესპონდენტს, ხოლო როცა საჭირო ხდება, სპორტსმენებს პირველად სამედიცინო დახმარებას თავად უწევს ისე, რომ ხშირად ექიმიც არ სჭირდებათ.

1993 წელს უსაყვარლესი, ერთადერთი ქალიშვილი - ანა ბერძენიშვილი შეეძინა და ოჯახთან ერთად საცხოვრებლად ბათუმში გადმოვიდა. აღსანიშნავია, რომ მისი ბავშვობის მეგობარიც, ვისთან ერთადაც არაერთი წელი გაატარა, ბათუმში გათხოვდა. გადაწყვიტეს, აჭარაში ისევ აეღორძინებინათ ფრენბურთი, რომელსაც იმ პერიოდში ცოტათი ჩავარდნა ჰქონდა. თამარმა და ხათუნამ 2004 წელს აჭარის ფრენბურთის ფედერაცია დააფუძნეს. პრეზიდენტობა თამარ ლატარიას მიანდეს (ახლა მამუკა აბულაძეა). ხათუნამ მწვრთნელობას მიჰყო ხელი. რა თქმა უნდა, თამარი გვერდით ედგა.

თავიდან ცოტათი გაუჭირდათ, არ იცნობდნენ ქალაქს, ბავშვებს და... საკუთარი შვილებით დაიწყეს. მათ მეგობრები მოიყვანეს. ამბობს, რომ დღეს ის გუნდი მისთვის ყველაზე საყვარელი და გამორჩეულია, რადგან მათთან ერთად სწავლობდნენ მწვრთნელობას. მალე საქართველოს ჩემპიონებიც გახდნენ, არაერთხელ საერთაშორისო ტურნირებშიც გაიმარჯვეს. საუკეთესო მწვრთნელებთან ჰქონდა ნამუშევარი, რაც ძალიან გამოადგა - სერგო ტარახჩიანი, ბასილ ტკაჩენკო, მსოფლიოში ცნობილი გივი ახვლედიანი, დედასავით მუდამ გვერდით ედგა ცისანა აბუაშვილი... ანუ შესანიშნავი პროფესიონალების ხელში აღიზარდა. ორ ათეულ წელზე მეტია, საყვარელ საქმეს ემსახურება. დღეს მერვე თაობას წვრთნის, პატარებისას - მეცხრეს. მას შემდეგ, რაც ხათუნა გიორგაძემ და თამარ ლატარიამ ამ საქმეს ერთად მოჰკიდეს ხელი, პირველობას არავის უთმობენ.

ხათუნა 2014-2015 წლებში ეროვნულ ნაკრებს, ხოლო 2013-2021 წლამდე ახალგაზრდულ ნაკრებს წვრთნიდა, მაგრამ თვლის, რომ მისი ადგილი ბავშვებთანაა. ძალიან დიდი მიღწევები ჰქონდა ახალგაზრდულ ნაკრებებს საქართველოს მასშტაბით. მან აღზარდა ძალიან ბევრი ნიჭიერი ფრენბურთელი, ქართული ფრენბურთის სახე. დღეს აჭარის ნაკრები საქართველოს პირველობის ცხრაგზის გამარჯვებულია (სხვადასხვა ასაკში), მხოლოდ ერთხელ აიღეს მეორე და ერთხელ - მესამე ადგილი. საქართველოს ყველა ჩემპიონატში (ახალგაზრდებში) აქვთ ოქროს მედლები მოპოვებული, მათ შორის საპლაჟო ფრენბურთშიც. ახალგაზრდებში ყველა მედალი მათია.

- ფრენბურთი, სპორტის ერთადერთი სახეობაა (ყოველ შემთხვევაში - ჩემთვის), რომელიც სრულყოფილ სხეულს აყალიბებს, ამასთან, ძალიან გუნდურიც. სპორტსმენები მეგობრობას, ერთმანეთის გატანას სწავლობენ. თუ მოთამაშესთან კარგი, ჯანსაღი ურთიერთობა არ გაქვს, კარგად ვერ ითამაშებ, - ამბობს ხათუნა.

ამჟამად, ოფიციალურად, ორი ასაკობრივი ნაკრები ჰყავთ და ერთი - უფროსების, რომლებიც ეროვნულ ჩემპიონატზე თამაშობენ უმაღლეს ლიგაში. წელს ოქროს მედალს უმიზნებენ. სასიხარულო კი ისაა, რომ გუნდი მხოლოდ აჭარის წარმომადგენლებითაა დაკომპლექტებული. მათი მიზანია, რომ სწორედ ადგილობრივმა კადრებმა ითამაშონ ეროვნულ ჩემპიონატზე. ამჟამად, ფრენბურთში, სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში, 700-მდე ბავშვია ჩართული. როგორც კი ახალი დარბაზი გაკეთდა, ბავშვების ნაკადმაც იმატა და ძალიან პოპულარული გახდა სპორტის ეს სახეობა. სასიხარულოა, როცა გაფასებენ, რასაც ის ყოველთვის გრძნობს - რამდენიმე წელია, ზედიზედ ანიჭებენ წლის საუკეთესო ქალი მწვრთნელის წოდებას და ისიც მთელი წლის განმავლობაში ისე მუშაობს, როგორც ამ ტიტულს შეეფერება. დღეს მისი აღზრდილებიც წვრთნიან პატარებს. ამბობს, რომ სასპორტო სკოლა ყველას გვერდით უდგას, ხელმძღვანელობა თითოეული სპორტსმენის წარმატებით ხარობს.

- ხათუნა გიორგაძე რომ ასეთ მწვრთნელად ჩამოყალიბდა, სპორტსკოლის დირექტორ ირმა ნიჟარაძის დამსახურებაცაა, ის ყველას გვიდგას გვერდით, ნებისმიერ საქმეს უპრობლემოდ გვიგვარებს, თითოეული ბავშვის სახელიც კი იცის. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ თავდაპირველად, მუხრან ვახტანგაძის თანადგომით შეიქმნა ჩვენი გუნდი. პირველი ნაბიჯები სწორედ მისი დახმარებით გადავდგით. ახლა ამას ღირსეულად აგრძელებს ირმა“, - გვითხრა ხათუნამ.

მასთან ერთად მოღვაწეობს კიდევ ერთი საუკეთესო მწვრთნელი და პიროვნება, თამარ ლატარია.

- ჩვენ ბავშვობიდან ერთად, როგორც უკვე აღნიშნეთ, მოვდივართ, ერთ საქმეს ვემსახურებით, რაც მეგობრობაზე მეტია. 2004 წლიდან ერთად ვმოღვაწეობთ. მეც სპორტულ ოჯახში გავიზარდე, დედა ფრენბურთელია, აჭარის ნაკრებშიც თამაშობდა - გერტა ჟღენტი, მამა - თენგიზ ლატარია ავტოსამოდელო სპორტით იყო გატაცებული, მაშინ რადიოსპორტი ერქვა. აქ მუშაობდა - ბათუმში. ხათუნა მებრძოლი, ძალიან მშრომელი ადამიანია, საშუალება რომ მისცე, დარბაზიდან საერთოდ არ გავა, - გვითხრა თამარმა.

- 11 წლიდან ვთამაშობ ფრენბურთს, მე-12 წელია. ჯერ კიდევ სკოლიდან ვიცნობდი ხათუნა მასწავლებელს და მომინდა მასთან გუნდში თამაში. ახალგაზრდული ნაკრების წევრიც ვიყავი. რომ არ მომწონდეს ხათუნა მასწავლებელი, ამდენ ხანს აქ არ გავჩერდებოდი. ჩვენ ყველგან ერთად ვართ, მისგან წასვლა არც მიფიქრია, - გვითხრა კლუბ „ბათუმის“ ფრენბურთელმა თამთა ზამთარაძემ.

ხათუნა გიორგაძე თავადაც გრძნობს, რომ უყვართ, აფასებენ და თავადაც სითბოს გასცემს უკვე მშობლიური ქალაქისთვის. წლის საუკეთესო მწვრთნელი ამბობს, რომ კვლავაც ყველაფერს გააკეთებს, რათა მისი საყვარელი ბათუმი, გულშემატკივრები კარგი შედეგებით გაახაროს.

მანანა ძიძიშვილი